

მ რ ი

№ 2

შ ი ნ ა ა რ ს ი:

პოლიტიკური ვითარება; — ელკვა მ. ველისციხელი; — ჯეჯილის ოტი წლის თებულე; — რომანსი ი. გრიშაშვილისა; შინაური მიმოხილვა — *** მთის არწივი შამილი — ა. ფრონელისა; მსხურთ, ერთი ჭიქა ლუდი — ლ; რომანსი — შ. ამირეჯიბისა; სინამდვილე — კ. მაყაშვილისა; ბ-ნ აფანე ჯაჯანიშვილის ლექცია — B; მოკლე მიმოხილვა ქართულ მწერლობის უძველეს დროიდან — იპ. ვართაგავასი; ქართულ-რუსული ჰრესის — ალაროდიელისა.

კვირა, 14 თებერვალი

საპოლიტიკო, სამეც. და სალიტ. ჟურნალი

1910 წ.

პოლიტიკური ვითარება.

წინა, როცა რუსეთის პოლიტიკურ ცხოვრებაზე დაიწყებდით ლაპარაკს, ყველას ენაზე ეკერა ბიუროკრატია, ყველანი გავიძახოდით — გვანჩობს რუსეთის ბიუროკრატია, სულს არ გვათქმევინებსო, და ციურ მანანასავით მოველოდით იმ ნეტარ წამს, როცა რუსეთი „განახლდებოდა“, როცა რუსეთში შემოვიდოდა მმართველობის წარმომადგენლობითი წეს-წყობილება. ესლა ამ დროსაც მოვესწარით და ჩვენთვის მტრად საგულისხმოა გავითვალისწინოთ, თუ რას უნდა მოველოდეთ ამ „განახლებულ“ წეს-წყობილებისაგან.

თუ წინა ჩვენ არ ვიცნობდით რუსეთის ხალხის პოლიტიკურ მიდრეკილებას, თუ ჩვენ მაშინ მხოლოდ ბიუროკრატია ვხედავდით, ესლა საშუალება მოგვეცა თვით ხალხის პოლიტიკური მოქმედებაც დაახლოებით წარმოვიდგინოთ.

ვერავინ ვერ უარჰყოფს, რომ რუსეთის ახალმა წყობილებამ რაოდენადმე მაინც საშუალება მისცა, ხალხში დამალულ პოლიტიკურ ძილებს თავი ეჩინათ და აშკარად შესდგომოდნენ ჩამოყალიბების გზას. რასაკვირველია, ეს პროცესი ჯერ დასრულებული არ არის და არც უნდა ველოდეთ მის დასრულებას, ვინაიდან ყოველი სიკოცხლის მატარებელი ძალა, იზრდება, ვითარდება და თავის სიკოცხლის პროცესში სხვა და სხვა ცვლილებას განიცადის. ყოველი პოლიტიკური მიმართულება, ყოველი პოლიტიკური პარტია დახსიათდება არა მარტო მისი დაწერილი პროგრამით, არამედ უმეტესად მისი მოქმედებით, მისი პოლიტიკური სიმწიფით. თუ ამ თვალსაზრისით გავზომავთ რუსეთში მოქმედ პარტიებს, მაშინ, ვფიქრობთ, თანახმა იქნებით, რომ ინგლისელი ლიბერალი ბევრ საკითხში და განსაკუთრებით მოქალაქეობრივ გატანის, მოპირდაპირეთა შეგუების და პიროვნების პატივისცემის საქმე-

ში გაცილებით უფრო მალა იდგომილება, ვიდრე რუსი სოციალისტი, ასე რომ, როცა რუსეთის პოლიტიკურ მოღვაწეებზე ამბობენ — ის უკიდურესი მემარჯვენე არისო, ეს რაღაც ისეთი არსებაა, რომელიც ყოველივე მოქალაქეობრივ თავისუფლების უარყოფას წარმოადგენს. მართლაც, დღესაც რუსეთის სათათბიროში ბევრი მემარჯვენეა ისეთი, რომელიც სულით და გულით მომხრეა ძველ წყობილების და თუ „პარლამენტში“ წარმომადგენლად შევიდა, მხოლოდ იმ განზრახვით, რომ მას ძირი გამოუთხაროს და, თუ შეიძლება, კიდევ მოსპოს.

დღევანდელი რუსეთის სათათბირო ისეთი წესითაა არჩეული, ისეთი შედგენილობისაა, რომ თავისთავად ის თავიდანვე რადიკალობას ვერ დაიჩემებდა. პირიქით მოსალოდნელი იყო, რომ შეგნებული რუსი ნათლად დაინახავდა თავის სახელმწიფოს მდგომარეობას, შეიგნებდა მისთვის ფართო რეფორმების საჭიროებას და ეხლანდელ მთავრობას ბრძოლას გამოუცხადებდა. ჩვენ კი სულ სხვას ვხედავთ. რამდენი დრო გადის, იმდენად მემარჯვენე ელემენტები სახელმწიფო სათათბიროში უფრო ძლიერდებიან. საკანონმდებლო სასწორი თანდათან მარჯვენე იხრება. პარტია, რომელზედაც დღევანდელი მთავრობა ეყარება, ოქტომბრისტების პარტია, თანდათან ჰკარგავს გავლენას და რაოდენობითაც მცირდება. ოქტომბრისტების პარტია სახელმწიფო სათათბიროს გახსნის დროს შესდგებოდა 154 დეპუტატისაგან, დღეს კი იქ მხოლოდ 123 კაცია. ეს თანდათანი დადნობა პარტიისა და მასთან მისი გავლენის შემცირება იწვევს მემარჯვენეთა გაძლიერებას, რომელიც უკვე გაერთიანებასაც შეუდგენს. წინანდელი ზომიერი მემარჯვენენი და ნაციონალისტები დღეს უკვე შეადგენენ ერთს პარტიას — ნაციონალისტებს, სადაც 90 დეპუტატი ირიცხება. ხოლო ხომ მოგეხსენებათ, თუ რას წარმოადგენს ეს პარტია. მათი დევიზია — რუსეთი რუსებისათვის. აქედან მომდინარეობს მათი მოქმედების პროგრამაც. მათი მიზანია — რუსეთში

მცხოვრები ერები ისეთ ქახრაკში ჩაავდონ, რომ გასაქანი არა ჰქონდეთ, მოუსპონ ყოველივე საშუალება არსებობის დასაცველად, დაუხშონ კულტურულ განვითარების გზა, არ მისცენ არავითარი უფლება და ამნაირად უპაეროდ გამოახრჩონ თავის კლანჭებში. ამ მიზნის მისაღწევად ისინი უკვე შეუდგნენ დიდ მზადებას. თუ წინად მთავრობის მოქმედება თითქო განმარტოებული იყო, თითქო მას მხარს საზოგადოება არ უჭერდა, დღეს უკვე ჩვენ საქმე გვაქვს საზოგადოებრივ ორგანიზაციასთან, რომელიც თანდათან იზრდება და ძალებს იკრებს.

ამ ცოტა ხნის წინეთ პეტერბურღში დაარსდა სრულიად რუსეთის ნაციონალური კლუბი, მას მოჰყვა სრულიად რუსეთის ნაციონალურ კავშირის დაარსება, ეხლა ზედ ერთვის ზომიერ მემარჯვენეთა შეერთება ამ კავშირთან.

ამნაირად ჩვენ ვხედავთ, რომ ის ძალა, რომელიც მომართულია რუსეთის იმპერიაში მცხოვრებ ერთა განადგურებისაკენ, თანდათან იზრდება, ვითარდება და თავს იყრის. სხვების შთანთქმის მიდრეკილება ფესვს მაგრად იდგავს რუსთა შეგნებაში და საზოგადოებრივ მიმდინარეობად იქცევა. წინედ უფრო მალული ეროვნული ბრძოლა აშკარადდება, თეორიულად ყალიბდება და პრაქტიკულად ღრმავდება და მეტს სიმწვავესა და უღმობელობას იძენს. დევიზი „რუსეთი რუსებისათვის“ პრაქტიკულ პოლიტიკის მოძღვრებად იქცევა.



ელეგია.

ცა აღარ სტირის და შავი მთა აღარ ქვითინებს,
 ბუნება ჰშვენის, მოღხენილი ტკბილად ღიღინებს.
 ტყემ გაიღვიძა,—მას ყორანი აღარ დასჩხავის...
 მდელი იმღერის—შიგ სიცოცხლე იშვების, ჰყვავის.
 ბორბოტი ქარი აღარ ჰღმუის, აღარ ღრიალებს...
 მის-წილ მშვიდობის საამური ჩანგი წკრიალებს.
 ცვარნი ციურნი ბალახთ მკერდზედ მარგალიტოვებს,
 ციაგნი ცისა მოღხენილნი ზედ არშიყოზენ...
 ცხოვრების გზაზედ მოქანკული მე-კი ვსუსტდები...
 ოჰ, ღმერთო, ღმერთო, რისთვის გავჩნდი, თუკი
 მოვკვდები?!

† მ. ველისციხელი.



„ჯეჯილის“ ოკი წლის იუზბილე.

„იზარდ მწვანე ჯეჯილა
 დაპურდი, გახდი ყანაო.“

ქართულმა ლიტერატურამაც გამოიარა გმირობის ეპოქა. თუ ისტორიაში არ დავიწყებთ ჩხრეკას, თუ თავს დავანებებთ იმ „უღირს მონათ“, რომელნიც ძველ დროში უთვალავად გაფანტულნი იყვნენ ჩვენს მონასტრებში და წუთიერ ქვეყნიერებას მოშორებულნი, ჩუმად, წმინდის გულით და წრფელის იმედით სწერდენ სხვა და სხვა წიგნებს და დიდის ბოდიშით მიმართავდენ წამკითხველს „შენდობისათვის“, თუ ამ ძვირფას მუშაკთა ღვაწლს გვერდს აუხვევთ და მხოლოდ მეცხრამეტე საუკუნის ქართულ ლიტერატურას მივაქცევთ ყურადღებას, აქაც ვიპოვით ისეთს ხანას, როცა საწმობლოს აღორძინებით გატაცებულნი დაურიდებლად, თავის ძაღლის დაუზოგველად შეუდგნენ მეტად მძიმე საქმეს — ლიტერატურულ შრომას. ვინც ცოტაოდნად ახლო სდგას ჩვენ ლიტერატურასთან, კარგად იცის, თუ რა აუტანელ პირობებში უხდება მუშაობა ქართველ მწერალს. ამიტომაც არა ერთხელ გაუელვარებია სამშობლოცა ამა თუ იმ ნიქს და მერე ისევ გამქრალა ჩვეულებრივ ცხოვრების ტალღების მიერ ჩანთქმული. რა საჭიროა მცირედ მაგალითებს გავყვეთ? ავიღოთ ჩვენი მე-XIX საუკუნის გიმოჩენილი პუბლიცისტი, პოეტი და ბელეტრისტი ილია. განა ასეთს ნიქს, ასეთ მადლიან კალმის პატრონს თავისი ენერგია, თავისი მომქმედებ ძალა ბანკის საქმეებში უნდა დაეხურდავებია? განა ასეთი მოვლენა ეროვნულ განძის გაფლანგვა არა არის? ილია თავისუფალ უზრუნველ ყოფილი მწერალი განა ორჯერ და სამჯერ მეტ ნამოქმედარს არ მოგვაწოდებდა? მაგრამ რას იზამ, როცა პირდაპირი გზა, გზა ლიტერატურისა ჩვენში მხოლოდ შიშობილის, თავზეხელადებულის გზაა. ამიტომაც გული გტკივა, როცა ასეთ მოვლენას ხედავ, ხოლო საყვედური არავის არ ეთქმის. მსხვერპლსაც საზღვარი აქვს და ეს საზღვარია ფიზიკურ არსებობის დაცვა.

და როცა ლიტერატურა კაცს იმდენ საშუალებესაც არ აძლევს, რომ ფიზიკურად იარსებოს, მაშინ მათ უფრო ძვირფასი, საყვარელი და პატივსაცემი ხდება ის ადამიანი, რომელიც ამ აუტანელ პირობებში კალამს ხელიდან არ აგდებს, ებრძვის ცხოვრებას, ებრძვის მას უკუღმართობას და ამით გულ-გატეხილთ იმედს უღვიძებს, გულგრილთა არცხვენს და საერთო სამშობლოს აღორძინებისაკენ იწვევს. ცხოვრებაში მარტონიქი კი არ ბრწყინავს. ნიქი, რომელსაც თან არ ახლავს მუდმივი შრომა, შეუსვენებელი გონებრივი ჯაფა, იგივე გავერანებული ვენახია, რომელიც არამც თუ ნამდვილ ყურ-

ძენს, კრიკინასაც აღარ იძლევა. ნიჭი, რომელსაც არ აშუქებს საზოგადოებისადმი თავდადება, ზნეობრივი სიფაქიზე, ეს უკუღმართი ძალაა, რომელიც უფრო ხშირად უკუღმა ჰფარცხავს და საზოგადოებას ზიენის მეტს არაფერს უქადის. ზნეობრივი სიფაქიზე კი, ღრმა სიყვარული საზოგადოებისადმი, უანგარობა ანდამანტია, რომელიც უნებლიედ იზიდავს ყველას ვისაც კოტაოდენი საზოგადოებრივი ნაპერწყალი გააჩნია. სწორედ ასეთი ანდამანტი იყო ჩვენს საზოგადოებაში ოცი წლის განმავლობაში „ჯეჯილის“ რედაქცია.

და განა ასე რომ არ ყოფილიყო, ოც წელიწადს გასძლებდა ქართული ჟურნალი? ჩვენში არ გამოსულა ამ ოცი წლის განმავლობაში არც ერთი კოტაოდნად თვალსაჩინო მწერალი, რომელსაც „ჯეჯილში“ მონაწილეობა არ მიეღოს. არა ერთი და ორი მწერალი „ჯეჯილში“ თანამშრომლობით გამოიწრთო და ლიტერატორთა გუნდში ჩაეწერა. „ჯეჯილის“ რედაქცია მიმზიდველი, პატივისცემით და სიყვარულით მიმღები იყო და არის ყოველ ქართველისათვის, რომელსაც კი მოუსურვებია თავისი წვლილით სამშობლო ლიტერატურას რაიმე შესძინოს. „ჯეჯილი“ იყო ამ ოცი წლის განმავლობაში მუდმივი საკითხავი წიგნი ჩვენი მოზარდ თაობისა. ამ სილატაკის დროს, როცა ხანდისხან თვეობითაც ვერ ნახავთ ახალ ქართულ წიგნს, „ჯეჯილი“ ოცი წლის განმავლობაში შეუჩერებლივ აწვდიდა გონებრივ საზრდოს ქართველ საზოგადოებას, აყვარებდა მას სამშობლო ლიტერატურას, უღვიძებდა სამშობლოსადმი სიყვარულს, აწვდიდა გონებრივ საზრდოს და ამით გზას უკაფავდა ჩვენს გონებრივ განვითარებას.

დიახაც, რომ საამაყო ისეთი ადამიანის ყოლა ხალხისათვის, რომელსაც ოც წელიწადს დაულაღვად უშრომნია თავის ობოლ, დაჯაბნებულ და ბევრ შვილისაგანაც კი მოძულებულ სამშობლოსათვის. და ეს ადამიანი არის ანასტასია წერეთლისა.

ჩვენი რედაქცია აღტაცებით ეგებება დღევანდელ დღესასწაულს და უსურვებს როგორც „ჯეჯილის“, ისე მის დაულაღვ ხელმძღვანელს ანასტასიოს კიდევ ხანგრძლივ სამსახურს ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ.



რ ო მ ა ნ ს ი.

„დამივიწყეთ!..“ ახ, ღვთაებრივო
 მამ რად მოილტვის შენსკენ ფიქრები?
 ბნელ გზას მიჩათებ, ოცნების სხივო,
 მატკბე, მახარე, ნუ ჩამიქრები!

როს ცა ჰქუხს, ღელავს,
 დრტვინავს და ელავს,
 მაშინ ბალ-ბუჩქნარს
 ცეცხლ-მეხით სთელავს.

და როს ცა წყნარად
 დასცქერს ბაღს მტკბარად
 ბუჩქიც ცას მწვიდს, წყნარს
 შეჭხარის მარად!..

ნუ მიცქერ მტრულად, ცაო მრისხანე...
 დასცხრი... შემომკე შუბლი ყვავილით!..
 ოლონდ მიბრძანე, შენ გეთაყვანე,
 და ჩავეხვევი სიკვდილს ღიმილით!..

ი. გრიშაშვილი.



შინაური მიმოხილვა.

ქუთაისის ქართულ გიმნაზიას განსაცდელი მოვლის. დღემდის ის ინახებოდა ქუთაისის ბანკის მოგებით, მაგრამ ახლა სამინისტროს უარი უთქვამს, რომ მომავალ წლიდან ბანკის მოგება გიმნაზიას მოხმარდეს. ეს მეტად სასიცხო მოვლენაა ჩვენს ცხოვრებაში, რომ ისეთ დიდ საკრედიტო დაწესებულებას, როგორც ქუთაისის ბანკია, ერთი გიმნაზიის შენახვა არ შეეძლოს. ამაზე უფრო შერცხვენა მთელი ქვეყნის წინაშე აღარ შეიძლება. მერე ვისი ბრალია? ქუთაისის ბანკს ახვევია გარს ათასი წვრილმანი წურბელა, რომელიც კოტ-კოტა. წვრილ-წვრილად სწუწნიან მას. ბანკობის თამაშობამ, კერძო პირების ადგილების ძებნამ და მასთან ჩვენი ხალხის ზნედაცემულობამ ისეთი პირობები შექმნა ამ საზოგადო დაწესებულების გარშემო, რომ საქმის სათავეში მოჰყვნენ სრულიად უფარგისნი, საქმის არ მცოდნენი, ზანტნი და საზოგადო საქმეში დაუდევარნი. ამას თან დაერთო წვრილ წურბელების გამრავლება, რომელთა წინააღმდეგ ბრძოლა დღეს მეტის-მეტად ძნელია, რადგან შუბლ-გადარეცხილ ადამიანთან საქმის დაქერა არც ისე ადვილია. მაგრამ ყოველ შემთხვევაში ჩვენ არ შეგვიძლია საყვედურით არ მივმართოთ საზოგადოებას, რომელიც ხშირად ხელს აფარებს წვრილ ქურდბაცაცებს, არ სჯის მათ შესაფერად და ამით სხვებსაც აჩვევს აღვირ-ახსნილობას და საზოგადო საქმეში უტიფრად მოქმედებას. არ შემძლია ისიც არ ცუხსაყვედურით ჩვენ საზოგადოებას, რომ ის ამდენად დაჩიავდა, რომ უღირს ადამიანებს, საქმისათვის გამოუსადეგარო ირჩევს საპატიო ადგილებზე. ამიტომაც ეხლა მაინც იმედია გონს მოვლენ, არ აჰყვე-

ბიან ძველებურ მყვირალა და შუბლ-წარეცილ პირებს, ღინჯად გაითვალისწინებენ საქმეს, რომელიც არც ისე ძნელი გამოსაკეთებელია, თუ რამდენიმე გულ-წრფელი, შეგნებული, საზოგადო საქმის მოყვარული და თავის მოვალეობის მკოდნე პირი ჩაუდგება სათავეში. მაშინ საზოგადოების შემწეობით ადვილი იქნება წვრილ ბაცაცების მოშორება და ბანკის შემოსავალიც ერთი ათად იმატებს, გიმნაზიასაც განსაცდელი ასცდება და ბევრს სხვა ჩვენ საზოგადო საქმეს სული ჩაედგმის.

* *

მამულის საკითხი ჩვენში თანდათან მწვავდება. ყორნებით მოგვაწყდნენ სხვა და სხვა მხრიდან წაქეზებულნი, დაგვიჩახეს დაბალი ღობე და სულ გათელვას გვიპირებენ. სამწუხაროდ ამავე დროს ჩვენში კიდევ სწამთ ის საოცნებო ზღაპარი, რომ მამულები უფსოვდ დაურიგდებათ, რომ ყოველსაქმრო არ არის. ეს შეხედულება, რომელსაც სადღესობად მხოლოდ თეორიული მნიშვნელობა აქვს, ისე გაუჯდათ ძვალ-რბილში, რომ მამულზე გული აიკრუსეს და სრულიად აღარ ფიქრობენ ხვალისდელ დღეზე; ამავე დროს კი საიჯარო ფასი მატულობს, მამულიც იყიდება. გურიაში ბევრი სოფელი ისეთ ხრიკზეა გაშენებული, რომ ახლო-მახლო სახნავი მიწა სულ არ მოეპოვება, იძულებულნი არიან სოფელში საყანე ეძიონ ორმოც-სამოც ვერსის სიშორეზე, შავი ზღვის პირას. ასეთი ძალღული მდგომარეობა აუბატანელია ხალხისთვის. ამ სიშორეზე სიარული, დროს კარგვა, დიდი იჯარა, ადგილობრივი სივიწროვე უნებლიედ აფიქრებებს გურულ გლეხს ცოტა ფეხი მოიცვალოს და უფრო მოხერხებულ ადგილზე გადასახლდეს. მართლაც ამ ათი წლის განმავლობაში ხალხი ბარისკენ იწევეს და იზრდება ისეთი ადგილები, როგორც არის უნაგერა და სხვა. და რაც უფრო ადრე დაიძვრის ხალხი შავი ზღვის პირისაკენ მითუმჯობესია. ჯერ-ჯერობით კიდევ მოსახერხებელია ამ ადგილებში ფეხის მოკიდება, ხოლო რამდენიც დრო გადის, იმედნად საქმე უფრო გაძნელდება, მიწის ფასი გაიზრდება და მამულსაც სხვა პატრონები, მოსული პატრონები გაუჩნდებიან; როგორც უკვე გაუჩნდნენ ქობულეთისა და ციხის ძირის არემარეს. როგორც „დროება“ გამოგვცემს მთიან-გორიან გურიის მცხოვრებთ გადაუწყვეტიათ ჩოლოქის პირზე ადგილის შეძენა, ხალხი საქმეს შესდგამია, მაგრამ აქაც გაჩენილან უტიფარი პირნი, რომელნიც ცდილობენ ქიშპობა და ეთანხმობა ჩამოაგდონ სოფელეთა შორის. ჩვენში ხომ ყოველთვის ჰყავს სოფელის თითო-ორიოლა კბილის მატლი, მაღალ ფრახებით მოსაუბრე, ვითომ და გულშემატკივარი. აი ამ ვაჟ-ბატონების წყალობით საქმე შეიძლება კიდევ ჩაიფუშოს. ჩვენ გულწრფელად ვსთხოვთ დაინტერესებულ სოფელეთ საქმეს ბრთხილად მოეკიდონ, ერთმანეთს

დაუთმონ და მამული ხელიდან არ გაუშვან. გვეყოფა ამდენი დაუდევრობა და გაუგებრობა.

* *

ტფილისში აქა-იქ უკვე მოიკიდა ფეხი პატარა-პატარა საკულტურო საქმეებმა. აარსებენ სამკითხველოებს, მართვენ წარმოდგენებს და სხვა. ერთი ასეთი საკულტურო საქმე არის ვერის აუდიტორია, სადაც ხშირად იმართება ქართული წარმოდგენა. აქ პატარა ჯგუფი ჩუმაღ, უყვირლად ეწევა თავის საკულტურო საქმეს. მაგრამ, სამწუხაროდ, როგორც „ახ. სხივი“ გამოგვცემს, ვერის სცენას ცოტა მუშაკი ჰყავს. საქიროა ამ გარემოებას ყურადღება მიაქციონ ჩვენი საკულტურო საქმის გულ-შემატკივრებმა და დახმარება გაუწიონ ხალხისათვის მეტად საქირო და საკეთილო საქმეს. .

მთის ანჩიმერი უამილი

ისტორიული ამბავი.

II.

იერიშით აიღეთ ანჩიმერო, უბრძანა გრაფ ვარანცოვმა გენერალ პასკეის ავანგარდს.

კრკის უღელტეხილიდან ძირს დაეშვა გენერალ ბენკენდორფის უფროსობით რაზმი. ჯარისკაცნი თხებსავით ხტოდნენ კლდიდან-კლდეებზედ, ხოლო თ. ლევან მელიქიშვილის ქართველთა მილიცია თულებით მიიპარებოდა ძირბებში და ამ რიგად მთელი მოწინავე რაზმი უვნებლად მიადგა ანჩიმერის მთის ძირსა.

ქართველი მილიციონერები პირველნი აცოცდნენ ციხაბო კლდეზე. მილიციონერებს ფეხდაფეხ მისდევდა რუსის მხედრობა. გულადად დაუხვდა მტერი იერიშის მომტანთ და დააყარა ზემოდან ლოდები, ყუმბარები და ტყვია, მაგრამ არ შედრკნენ მელიქიშვილის ქართველები და გალომებულნი წინ მიიწევენ. ისე გახურდნენ თურმე ვაჟაკნი, რომ აღარ მოუცადეს უკანა ჯარს და გიჟებსავით მიესივნენ ლეკებს. გაჩაღდა ხელ-ჩართული, ხმლისა და ხანჯლის ტრიალი. მალე წამოეწივნენ ქართველებს რუსებიც და ახლა ამათაც დაატრიალეს ხიშტები. გაიმართა ულომობელი ხოცვა-ჟლეტა ანჩიმერის მთის მწვერვალზე; უსულო ლოდნი და კლდენი უხვად შეიღება წითლად ადამიანის სისხლით.

გრაფი ვარანცოვი დურბინდით უყურებდა კრკის უღელტეხილიდან ამ პირველ ბრძოლას და გული სიამოვნებით ევსებოდა, გამარჯვების ნიშნებს რომ ატყობდა.

შამილმა დასცალა ანჩიმერის მწვერვალნი და გარდაიხვეწა გუმბეთიდან.

გამარჯვებით დასრულდა პირველი შეტაკება

რუსებისა შამილის მხედრობასთან, მაგრამ აქვე იჩინა თავი მომავალ უბედურობისა და ტანჯვა-მწუხარების ნიშნებმა. ისეთი ამინდი დაიჭირა, რომ ძალი გარედ არ გაიგდებოდა. წვიმა კოკის-პირულად მოვიდა, აცივდა საშინლად. გზები სულ ერთიან გაფუქდა. აბა კარგ ამინდში რაა მთებში გზა და რა დაემართებოდა ერთის კვირის განუწყვეტელ წვიმის შემდეგ! უტყუო გუმბეთში შემის ნასახი არსად იყო, ასე რომ ჯარის-კაცები ცხელ საჭმელს დანატრულდნენ. ყველაზე დიდად ის აწუხებდა მეომარს, რომ არ იცოდა როგორ გაემრო დასველებული ტანისამოსი.

ასე ვაი-ვაგლახით და მწუხარებით გაატარა ჯარმა გუმბეთში მთელი ერთი კვირა.

11 ივნისს აიყარა ბანაკიდან და გაემართა ანდიისაკენ ბუკურის უღელტეხილით, რომელსაც უწოდებენ ანდიის კარს.

შამილმა არ მოისურვა არც ანდიის კარის დაკეტვა და მის წინ ბრძოლა. დასცალა ეს მაგარი პოზიცია და მოშორდა ბუკურს, ხოლო ვასცა ბრძანება, ცეცხლი წაუკიდეთ ანდიის სოფლებსაო.

14 ივნისს რუსის ჯარი ავიდა ბუკურის უღელტეხილზე და იხილა საშინელი სურათი. მთელი ანდია, მთანი და ხეობანი კვამლითა და ჯანყით იყო მოცული. ხეობათა და წყლის პირებზე გაშენებული სოფლები იწვოდა და ინგრეოდა გაონავრებულ ცეცხლის ალში.

საკუთარის ხელით საკუთარის ქონების გაქრობა-განადგურება—ეს ხომ უშველებელი მსხვერპლია სამშობლოს წინაშე, მაგრამ თავს რომ არ იზოგავდა შამილი, განა ქონებას გაუბრთხილებოდა!

ანდიის უმთავრესი სოფელი ანდიც შთანთქა ცეცხლმა. შამილმა არც ეს სოფელი დაინდო და ცეცხლი მისცა. პირველად გადამწვარ და გადაბუგულ ანდში შეიქრნენ ქართველები, სადაც ლეკები ჩასაფრებულიყვნენ. რაკი ხელ-ჩართული ომი გაიმართა ლეკთა და ქართველთა შორის, ქართველების საშველად დაიძრა თ. ა. ი. ბარიათინსკი, შემდეგ იმპერატორის მოადგილედ რომ იყო კავკასიაში და რომელმაც გუნებზედ დაატყვევა შამილი. ქართველები და ბარიათინსკის ეგერები აცოცდნენ ანდის კლდეებზე და სალამოდის აკედებოდნენ ლეკებს. ველარ გაუძლეს მთიულებმა გააფთრებულ ქართველებს და ეგერებს, დაიხიეს უკან და დაუთმეს მოზავებულ მტერს ბრძოლის ველი. რუსის მხედრობამ დაიჭირა ს. ანდია 14 ივნისს. სოფლის სარდაფებში რუსებმა იპოვნეს 400 დამალული ყუმბარა, რომლის წადება, ან აფეთქება ველარ მოეწროთ შამილის მეომრებს.

სოფელ ანდის დაქვრით დასრულდა რუსების გამარჯვებით წინსვლელი შამილის სამფლობელოს შუაგულისაკენ და იწყობა ხიფათი და ფაათი რაკი. უპირველესი დაბრკოლება ის იყო, რომ სურ-

ათი საკმაოდ არ მისდიოდა ჯარს. ეს იყო მიზეზი, რომ გრაფი ვორონცოვი ნ ივლისამდე გაჩერდა გადამწვარ სოფელ ანდში; სადაც არაფერი არ იშოვებოდა. განა მარტო ანდში, მთელ ანდიაში ათის კაცის გამოსაკვებ სურსათს ვერ მოაგროვებდა ადამიანი.

ნ ივლისს რუსის მხედრობა აიყარა ანდის ბანაკიდან და დაადგა დარგოს გზას. ვორონცოვის ამ დროს ახლდა 8000 ქვეითა ჯარის კაცი, 1200 ცხენოსანი და 22 ზარბაზანი. ამოდენა მხედრობა არას დროს არ შესულა დაღესტანში. რომ უფრო ადვილად წარმოიდგინოს მკითხველმა ჯარის მარშრუტი, საჭიროდ მიგვაჩნია მოვიხსენიოთ, რომ ციხე-სიმაგრედან „ვენეზანოე“ სოფელ ანდამდე პირდაპირის გზით, რუსებმა რომ გაიარეს, იქნება 60 ვერსამდე, ჩრდილოეთიდან სამხრეთამდე. ანდიდან ჯარი გამობრუნდა ისევ ჩრდილოეთისკენ და გაემართა დარგოსკენ. დარგოდან უნდა ვიანგარიშოთ ესე 20 ვერსი, ხოლო დარგოდან გერზელის სოფლამდე ესე 40 ვერსი. მაშასადამე გრაფ ვორონცოვის რაზმმა ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ წაიწია სამოც ვერსზე, ხოლო ანდიდან პირი იბრუნა და დაბრუნდა გერზელში. 1842 წელს დამარცხებული გენერალი გრაბეც ამავე გზით დაბრუნდა გერზელში.

ს. ანდიდან რუსებმა გაიარეს 14 ვერსი დარგოსაკენ და გაჩერდნენ უღელტეხილზე, საიდანაც იწყობოდა ღრმა და ტყით დაბურული ხეობა. დარგოსა და უღელტეხილ შორის ეს ტყიანი და ღრმა ხევი სძევს.

უკანასკნელ უღელტეხილიდან, სადაც რუსები ავიდნენ ნ ივლისს, მოსჩანდა უღრანი, დაბურული ტყე და ტყის შუაგულში პატარა ველ-მინდორი. აქ, ამ ველ-მინდორზედ შამილს თვისი ბანაკი დაეცვა.

სამხედრო და საომარი გეგმა იმპერატორ ნიკოლოზ პირველისა და შამილისა სისრულეში იქმნა მოყვანილი: გრაფი ვორონცოვი ჯარით შამილის სამფლობელოს შუაგულში შევიდა, ხოლო შამილმა რუსები შეიტყუა იქ, სადაც უნდოდა.

ა. ფრონელი.

(შემდეგი იქნება)



**მსახურო, ერთი
ჭიქა ლუდი!...**

გი დე მონასხანისა

ფრანგულით.

რისთვის შევედი იმ სალამოს იმ ლუდხანაში? სრულებით არ ვიცი. სიცივე იყო. ჰსწინწყლავდა,

წყლის მტვერი დასთამაშებდა და ოდნავ ჰბურავდა გამსჭვირვალე ნისლით ქუჩის სანათურებს, იგი აბრ-
ქყვილებდა ქვაფენილს, რომელსაც აქა-იქ მალაზიე-
ბის სინათლემ ზედ ერთვოდა, თანაც ნესტიან ტა-
ლახს და გამვლელ-გამომვლელთა უსუფთაო ფეხსა-
ცმელს შუქი ხვდებოდა.

არსად არ მივიდოდი. სადილის შემდეგ ცოტა
გავლას ვაპირებდი. გავიარე ლიონის ბანკთან, ვი-
ვიანის ქუჩა, კიდევ სხვა ქუჩები. უცებ თვალი მო-
ვჭკარი ერთ დიდ ლუდხანას, ნახევრად სავსეს. შე-
ვედი შიგ ყოვლის უმიზეზოდ. არ მწყურდა.

თვალის შევლევით ვეძებდი ისეთ ადგილს, რომ
ძალიან შევიწროებულად არ ვყოფილიყავი, და ვაპი-
რებდი ერთი ადამიანის გვერდით დაჯდომას, რო-
მელიც მოხუცად მეჩვენა და რომელიც ნახშირით
გაშავებულ, თიხის, შაურიან ყალიონს სწევდა. ექვსი
ანუ რვა ლამბაქი, მაგიდაზედ მის წინ ერთი მეო-
რეზედ შელაგებული, ამჟღავნებდა რამდენი ქიქა
ლუდიც უკვე დაელია მას. მაინცა და მაინც არ დავ-
ჭკვირვებდით ჩემს მეზობელს. ერთის თვალის შევ-
ლევით ვიცანი ერთი იმ მსმელთაგანი, ერთი ლუდ-
ხანას შეჩვეულ პირთაგანი, რომელიც დილით, გა-
ლუბისას მოდიან და საღამოს, დაკეტვისას მიდიან.
იგი ქუჩიანი იყო, შუა თავზედ მელოტი,
თანაც გრძელი გაქონვილი თმა, პილპილი და მა-
რილი ეცემოდა მის ზედა-ჩასაცმელის საყელოს. მი-
სი მეტად განიერი ტანისამოსი ალბად იმ დროს
იყო შევერილი, როდესაც მას მუცელი უნდა ჰქონოდა.
ეტყობოდა, რომ შარვალსაც ვერ იჭერდა ეს კაცი
და ათ ბიჯსაც ისე ვერ გარდასდგავდა, რომ არ გა-
ესწორებია და არ დაეჭირა ეს ცუდად დამაგრებუ-
ლი საცმელი. ვინ იცის, ჰქონდა ჟილეტი, თუ არა?
მარტო წარმოდგენაც-კი მის ფეხსაცმელების შესა-
ხებ და რასაც ისინი შეიცავდნენ, ჩემთვის განსა-
ცვიფრებელი იყო. გაცვეთილ სახელოებს, როგორც
ბრჩხილებს სრულებით შავი ნაპირი ჰქონდათ.

დავჯექი თუ არა ამ კაცის გვერდით, წყნარის
ხმით მითხრა: „კარგადა ხარ?“

მსწრაფლად მივიხედე მისაკენ და თვალეში
დავაშტერე. „ველარა მცნობ?“ მითხრა მან.

— „ვერა!“

„დე ბარრე.“

განვცვიფრდი. ეს იყო გრაფი ჟან დე ბარრე,
ჩემი ძველი სასწავლებლის ამხანაგი.

ჩამოვართვი ხელი. ისე წამიხდა საქციელი,
რომ ვერაფრის თქმა ვეღარ მოვახერხე.

ბოლოს წავილულულუდე: „შენა, შენ ხომ კარ-
გად ხარ?“

„ისე, როგორც შემოდლია,“ — მიპასუხა წყნა-
რად.

იგი დაჩუმიდა. მინდოდა აღერსიანად მოვკმ-
ყრობოდი, ვეძებდი სათქმელს: „მერე... რას აკე-
თებ?“

„ხომ ხედავ“ — მიპასუხა, თითქოს ბედს და-
მორჩილებიაო.

ვიგრძენი, რომ ვწითლდებოდი. მაინც განავარ-
ძე: „მერე ყოველ დღეს?“

„ყოველ დღეს ერთი და იგივე“ — წარმოსთქვა
მან სქელი კომლის აღმოქმენით.

შემდეგ დაჰკრა მაგიდის მარმარილოს სპილენ-
ძის ფული (სუ), რომელიც ზედ ეგდო და წამოიძახა:
„მსახურო, ორი ქიქა ლუდი!“

შორეულმა ხმამ გაიმეორა: „ორი ქიქა ოთხია-
ნი!“ მეორემ უფრო დაშორებულმა ხმა მოსცა: „აქ
არის!“ შემდეგ გამოჩნდა კაცი თეთრის წინსაფა-
რით, რომელიც მოაქანებდა ორ ქიქა ლუდს და
თანაც გამოქცევის დროს ქვიშა-მოყრილ მი-
წას ყვითელ წვეთებს აპყურებდა.

დე ბარრემ ერთის მოსმით დააცალიერა თა-
ვისი ქიქა და დასდო მაგიდაზედ, თანაც ისრუტავ-
და ულვაშებზედ დარჩენილს ქაფს.

შემდეგ იკითხა: „აბა რა არის ახალი?“

მართლაც არაფერი არ ვიცოდი ახალი, რომ
მისათვის გამეზიარებინა. წავილულულუდე: „არაფე-
რი, ჩემო მოხუცო. მე ვაჭარი ვარ.“

— „მერე... გეხალისება ევა?“ — წარმოსთქვა
მან იმავე ხმით.

„არა, მიგრამ რას იზამ? რამე ხომ უნდა გაა-
კეთო კაცმა!“

— „რისთვის მერე?“

— „საქმიანობისათვის.“

— „რის მაქნისია მერე? მე, როგორც ხედავ,
არაფერსაც არ ვაკეთებ, არასოდეს არაფერს. როდესაც
გროშიც არ გააჩნიათ, კიდევ მესმის, რომ მუშაობენ.
მაგრამ, თუკი ადამიანს საცხოვრებელი აქვს, მაშინ
ეს სრულებით უსარგებლოა. რა საჭიროა მუშაო-
ბა? შენთვის ჩადიხარ ამას, თუ სხვებისათვის? თუ
შენთვის ჩადიხარ ამას, ალბად ეს გართობს შენ,
მაშასადამე ძალიან კარგია; და თუ სხვებისათვის
ჩადიხარ ამას, სულელი ყოფილხარ მეტი არაფერი.“

შემდეგ დასდო ყალიონი მარმარილოზედ და
ხელახლად გასძახა: „მსახურო, ერთი ქიქა ლუდი!“
და განავარძო: „წყურვილსა მკერის ლაპარაკი.
შეჩვეული არა ვარ. დიახ, არაფერსაც არ ვაკეთებ,
მიშვებული მყავს ჩემი თავი, ვხუცდები. სიკვდილის
ჟამს არაფერი არ დამნანდება. სხვა არაფერი არ
მომავინდება ამ ლუდხანის მეტი. არც ცოლი, არც
შვილები, არც ფიქრი, არც დარდი, არაფერი. ეს
უკეთესია.“

დასცალა ახლად მოტანილი ქიქა, ენა მოის-
ვა ბაგეებზედ და ისევ მიუბრუნდა თავის ყალიონს.
განვცვიფრებით ვუყურებდი.

— „მერე, ასეთი რომ არ ყოფილხარ მუდამ?“ —
შევეკითხე მას.

— უკაცრავად, მუდამ, სასწავლებლიდანვე.

— ეგ ხომ ცხოვრება არ არის, ჩემო კარგო.

ეს საშინელება. კაცო, რამეს მაინც ხომ აკეთებ, ხომ გიყვარს რამე, მეგობრები ხომ გყავს?

— არა. შუადღისას ვდგები. მოვდივარ აქ, ვსაუზნობ, ვსვამ ლუდს, ველი ღამეს, ვსადილობ, ვსვამ ლუდს; შემდეგ, დილის ასეორის ნახევარზედ დასაძინებლად ვბრუნდები, რადგანაც ეს იკეტება. ესაა რომ ყველაზედ უფრო თავს მამბებებს. ათი წლის განმავლობაში ექვსი წელი მაინც გამიტარებია ამ სკამზედ, ამ ჩემს კუნძულში; დანარჩენი-კი ჩემს ლოგინში, სხვაგან არაოდეს. ხანდახან გამოვესაუბრები ხოლმე შეჩვეულებს.

— კი, მაგრამ, პარიზში მოსვლისას რას აკეთებდი სულ პირველად?

— „უფლების ფაქულტეტი გავათავე... მედიჩის ყავახანაში.

— „მერე?

— „მერე... მდინარე გადმოვიარე და აქ მოვედი.

— „რად გასწიე ეს ჯაფა?

— „რას იზამ, არ შეიძლება მთელ თავის სიცოცხლეს ლათინურ უბანში დარჩენა. სტუდენტები ძალიან ხმაურობენ. ეხლა აქედან აღარ დავსძრავ ფეხს. მსახურო, ერთი ქიქა ლუდი!..“

მეგონა, რომ საცინად მიგდებდა. მაინც არ ვეშვებოდი.

„ერთი გულახდილად მითხარი. დიდი მწუხარება ხომ არ გამოგივლია? ცხადია, რაიმე უბედურება დაგტეხია თავს. რამდენი წლისა ხარ?

— „ოცდა სამეტისა. მაგრამ შესახედავად კი ორმოცდა ხუთისას მაინც ვგეგვარ.

კარგად მივაჩერდი პირდაპირ. მისი მონაოქმებული, ცუდად მოვლილი სახე მიაგავდა თითქმის მოხუცისას. თავის თხემზედ რამდენიმე მოგროო თმა დასთამაშებდა კანს, რომლის სისუფთავე საეჭვო იყო. უშველებელი წარბები, სხვილი უღვაშები და სქელი წვერი. უცებ წარმომიდგა, არ ვიცი რატომ, მოშავო წყლით საფე ტაშტი, რომელ წყალშიდაც თითქოს გაუბნაიათ ეს თმებიო.

— „მართლაც და შენს ასაკზედ უფრო მოხუცის შეხედულება გაქვს. უეჭველია ბევრი ჯავრი უნდა გქონდეს გამოვლილი“—უთხარი მე.

მან მიპასუხა: „გარწმუნებ რომ არა. მოხუცი ვარ მიტომ, რომ არასოდეს არ გავდივარ ჰაერზედ. არაფერი არ აფუქებს ადამიანს ისე, როგორც ყავახანის ცხოვრება.“

ვერ დამეჯვრებია მისი სიტყვები: „აღბად დროც ბევრი გიტარებია? შენსავით არ გამელოტდება ადამიანი, თუ მას ძალიან არ ჰყვარებია.“

მშვიდად გაიქნია შუბლი და თანაც ზურგზედ დაეყარა პატარა თეთრი ნაწილები, რომელიც სცვივოდა მის უკანასკნელ თმას: „არა, მუდამ წყნარი ვიყავი.“ ამასთან თვალები მიაპყრო ხომოს, რომელიც თავს გვიხურებდა და სთქვა: „მელოტი თუ

ვარ, ეს ამ სანათის ბრაღია. იგი თმის მტერი არის.—მსახურო, ერთი ქიქა ლუდი!—არა გწყურია?

„არა, გმადლობ. მართლა ძალიან მეინტერესება შენი საქმე. დიდი ხანია, რაც ეგრე სასოწარკვეთილი ხარ? ეგ ჩვეულებრივი რამ არ არის, ეგ ბუნებრივი არ არის. რამე უნდა იყოს უთუოდ.“
— დიახ, ამას ჩემს ბავშვობაშივე უძვეს სათავე-პატარაობისას მომხვდა ერთი და ამან წყვედიადისაკენ მიმაბრუნა აღსასრულამდე.“

— „განა რა იყო ეგეთი?

— გინდა შეიტყო? ყური დამიგდე. ხომ გახსოვს სასახლე, სადაც აღვიზარდე, შენ ხომ ხუთჯელ-ექვსჯელ ყოფილხარ იქ არდადეგის დროს? ხომ გახსოვს ის დიდი რუხვი შენობა, დიდის ბაღით გარემოცული, და მუხის გრძელი ხეივნები ოთხ უმთავრეს მიდამოსაკენ გაშლილი! ხომ გახსოვს მამაჩემი და დედაჩემი, ორივე ცერემონიის მიმდევარი, დიდებული და მრისხანე?

დედაჩემს ვაღმერთებდი; მამაჩემის მეშინოდა და ორივეს-კი პატივს ვსცემდი, თანაც შეჩვეული ვიყავი ამ სანახაობას, რომ ყველანი მათ წინაშე ქედს იხრიდნენ. მთელი ჩვენი კუთხისათვის ისინი იყვნენ ბ-ნი გრაფი და ქ-ნი გრაფის მეუღლე; ჩვენი მეზობლებიც ტანმარები, რაღვლე, ბრენწილები ჩემს მშობლებს უაღრესის პატივისცემით ეპყრობოდნენ.

სამეტის წლისა ვიყავი მხიარული, ყველაფრით კმაყოფილი, როგორც არიან ხოლმე ამ ასაკში, რომელიც სიცოცხლის ბედნიერებით არის აღსავსე.

ენკენისთვის მიწურულში, სასწავლებელში დაბრუნების რამდენიმე დღის წინ, როდესაც ბაღის ხეივანში, ტოტებსა და ბაღახებ შუა სირბილით მგელობანას ვთამაშობდი, ერთი ხეივნის გადარბენის დროს დავინახე მოსეირნე დედ-მამა.

გუშინდელ ამბავით მახსოვს. მეტად ქარიანი დღე იყო. ძლიერი ქარისაგან მთელი ხეების რიგი იხრებოდა, კვნესოდა, თითქოს გმინავდა იმ ყრუ, ღრმა ოხვრით, რომელიც აღმოჰხდებდა ხოლმე ტყეს ქარიშხლის დროს.

მოწყვეტილი, უკვე გაყვითლებული ფოთლები, ფრინველივით მიჰფრინავდნენ, ტრიალებდნენ, ვარდებოდნენ, შემდეგ მირბოდნენ ხეივნის მიყოლებით, თითქოს მარდი ცხოვნლები არიანო.

სალამოს ჟამი ახლოვდებოდა. ხშირ ხეივანს ბნელი ეფარებოდა. ქარისა და ტოტების ეს მოძრაობა მალეღებდა, გიყვივით მარბენინებდა და მგლის მსგავსად ვღმუოდი.

მოვჰკარი თუ არა თვალი ჩემს მშობლებს, გავექანე მათკენ ტოტებ ქვეშ ქურდულის ნაბიჯით და მიხლოდა უცებ დავსცემოდი მათ, თითქოს მართლაც ნამდვილი მაწანწალა ვყოფილიყავი.

მაგრამ შიშმა შემიპყრო და რამდენიმე ნაბი-

ჯით მათზედ დაშორებული შევდექ. მამა ჩემი საშინელის გულმოსულობით ატაცებული ჰყვიროდა:

— დედა შენი სულელია; გარდა ამისა დედა შენს კი არ შეეხება ეს საქმე, არამედ შენ. გუბუნები, რომ ეს ფული ჩემთვის საჭიროა და ველი შენს ხელის მოწერას.

დედამ უპასუხა გადაქრით:

— არ მოვაწერ. ეს სიმდიდრე ჟანის არის. ამას მე იმისათვის ვინახავ და არა მსურს, რომ ესეც ქალებთან და მოსამსახურებთან შესქამო ისე, როგორც შენს მემკვიდრეობას უყავ ესა.

მაშინ ბრახ-მორეული მამა მიუბრუნდა, იგი სწვდა კისერში თავის მუელლეს და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, მეორეს ხელით პირდაპირ სახეში დაუწყო ცემა.

დედას ქული გადაუვარდა დაშლილი თმა გაეწეწა; იგი სცდილობდა როგორმე ხელის აცდენას, მაგრამ ამას ვერ ახერხებდა. მამა-კი, როგორც გიჟი, სცემდა, სცემდა. დედა დავარდა ძარს თანაც ორივე ხელით სახეს იმაღავდა. მაშინ მან გულ-აღმა გადმოაბრუნა, სახეზედ მიფარებულ ხელების მოსაშორებლად, რომ კიდევ ეცემა მისათვის.

მე-კი, ჩემო კარგო, ასე მეგონა, თითქოს ქვეყნის აღსასრულმა მოაღწია, თითქოს საუკუნეთა კანონები შეიცვალნენ. ისეთს აღშფოთებას ვჭგრძობდი, როგორსაც განიცდის ხოლმე ადამიანი არა ბუნებრივი რამის წინაშე, განსაცვიფრებელი უბედურების წინაშე. ბავშვმა დავკარგე გონება, შევიშალე. და, რაც ძალი და ღონე მქონდა, დავიწყე ყვირილი. თვითონაც არ ვიცოდი რისთვის, ატაცებულმა შიშით, რაღაც ტკივილით, საშინელის ელდით. მამამ ყური მოჰკრა, სახე ჩემსკენ მოიბრუნა, დიმიანახა; იგი წამოდგა და ჩემსკენ გამოემართა. ვიფიქრე, რომ ეს ეს არის მომკლავდა და მოვკურცხლე ისე, როგორც გაქცეული ნადირი თავ-აღებით პირდაპირ გარბის ტყეში.

გავრბოდი, არ ვიცი შეიძლება ერთ საათს, შეიძლება ორ საათს. ამასობაში ბინდმაც მოატანა, დავეცი ბალახზედ მოქანცული და იქვე დავრჩი გაფანტული, შიშით ატაცებული, შეპყრობილი ისეთის ჯავრით, რომელსაც შეუძლია სამუდამოდ ბავშვის საწყალი გულის დამსხვრევა. სიცოცხემ ამიტანა, ეგების მშოიდა კადეც.

დღემ მოატანა. ვერა ვებედავდი ადგომას, ვერც სიარულს, ვერც დაბრუნებას, ვერც უფრო შორს გადაკარგვას—მეშინოდა არ შევხვედროდი მამა ჩემს, რომლის მეორედ ნახვა აღარ მსურდა.

ეგებ კიდევ მომკვდარეყავი იმ ხის ძირად სიღარიბისა და სიმშობის გამო, რომ დარაჯს არ ვენახე და ძალით არ მივეყვანე.

ენახე მშობლები ჩვეულებრივის სახით. დედამ მხოლოდ ეს მითხრა: „როგორ შემაშინე, საზიზღარო ბავშვო, მთელი ღამე უძილოდ გავათენე.“

პასუხი არ გამიცია, მაგრამ ტირილი დავიწყე. მამას ერთი კრინტიც არ დაუძრავს.

რვა დღის შემდეგ სასწავლებელში შევედი.

ჩემთვის-კი, ჩემო კარგო, ყველაფერი გათავებული იყო. მე ვიხილე საგნების მეორე მხარე, ცული; კარგი-კი იმ დღიდან არა შემომჩნევია-რა. რა მოხდა ჩემს გონებაში? რომელმა უცნაურმა მოვლენამ გადამიბრუნა აზრები? არა ვიცი-რა. მაგრამ არ მიგრძენია არაფრის გემო, არაფერი ნატვრა, არავის სიყვარული, არც რაიმე სურვილი, თავ-მოყვარეობა ანუ იმედი. და თვალ წინ მიდგა მუდამ ჩემი საბრალო დედა, მიწაზედ, ხეივანში, როდესაც მამა ჩემი მას სცემდა.—რამოდენიმე წლის შემდეგ დედა ჩემი გარდაიცვალა. მამა ეხლაც ცოცხალია. მას მე-რე აღარ მინახავს.—მსახურო, ერთი ქიქა ლული!..

მოუტანეს ქიქა, რომელიც ერთის მოსმით გამოსცალა. და რომ მოინდომა ხელ-ახლა ყალიონის აღება, რადგანაც ათრთოლებული იყო, გასტეხა იგი. მაშინ როგორღაც უიმედოდ შეირხა და სთქვა: „დახე! ეს-კი ნამდვილად გულს დამაკლდა. ერთ თვეს მაინც მოვუნდები ახალი ყალიონის გაკომვლას.“

ესა სთქვა და განიერ დარბაზს, ეხლა კომლითა და მსმელებით სავსეს, გასძახა თვისი მუღმივი ხმა: „მსახურო, ერთი ქიქა ლული—და ერთი ახალი ყალიონიც!“

ვ. ლ—ძე.



რომანსი.

შენ უკვე ნაღვლობ, ჩემო საუნჯე და წარსულიცა ჩემი შეგზარდა, რომ გულის-ცემა ვერ დავიმუნჯე და ვიდრე ვნახე, მე სხვაც მიყვარდა. საქართველოში ბევრია ქალი, შენებრ მშვენია მათიცა სახე, შენ დაგეძებდა. მარად ჟამს თვალი, შენ დაგეძებდა და ის კი ვნახე. შენ ოცნებასა მსხვერუელსა სტირი და გსურს იცოდე: ვინა და როდის? მაშინ ზაფხულის იყო ჯერ პირი, მას კი არ ველი და არც ის მოდის! ისევ მიმღერე, ვიდრე ჰფეთქს გული, ყურს გიგდებ ვიდრე ხმა მივიწყებდა, ჩვენში ბევრია შენებრ ასული, შენთან კი ყველა დამავიწყებდა. და თუ მას ჰქვიან ამ ქვეყნად ბედი, რასაცა კაცი ქვეყნად მისწვდებდა, ჩემიცა ბედი მათზე არს მეტი და ქვეყანასაც გადასცილდება!

შ. ამირეჯიბი.



ან. შკვეთლისა

(ავტობიოგრაფიული ცნობები).

1875 წელს მისში საქალბო ინსტიტუტი დავამთარე, ხოლო იმ წელს აგვისტოში შევსრულდი 15 წლისა, არაფერი ცოდნა იქიდან არ გამომიტანია. მე მყავდა და, რომლის ხელმძღვანელობით დავიწყე თითქმის ანბანიდან ჩემი განვითარება. ხომ მოგეხსენებათ, მამა ჩემმა ზედ-მიწევნით კარგად იცოდა ქართული ენა. როგორც თავადის ქალისაგან, საზოგადო წრე ჩვენგან სხვას მოელოდა და ამიტომ ბრძოლა დაგვიკრდა მე და ჩემს დას. ის სუსტი აგებულებისა იყო და მგრძობიერი—ვერ აიტანა—და გარდაიცვალა. მას შემდეგ მამაც მომიკვდა და დავაპირე საზღვარ გარედ წასვლა სასწავლებლად და როცა წავედი, ვიგრძენ, რომ ავადმყოფ დედის მიტოვებას ვერ შევძლებ და არც იმედი მქონდა, რომ ექვს წელს შევძლებდი უმოქმედოთ იქ ყოფნას, და ისიც ისეთი სწავლის შეძენას, რომელიც უფრო ჯიბეს გამოადგებოდა. ჩამოველ თუ არა, დავიწყე ცოტ-ცოტა თარგმანების და პატარა საკითხავი ამ ბების ბეჭდვა გაზეთ „დროებაში“. ამან კარგა ხანს გამიტაცა. ამავე დროს ცალკე წიგნების გამოცემასაც შევეუდექი. მე ვმუშაობდი წერა-კითხ. საზოგადოებაში. გამოვეცი: „ხატაური“, რომინზონ კრუზო“, მერე „ტრინი“ „გუსტავ ვაზა“ „თეთრი და ზანგი“ „მოლაღური“ „ტახტის მემკვიდრე და მათხოვარი“. ვთარგმნე ფრანგულიდან კომედიები „ქიბუქი“, „ჯერ-თავო და თავო“ და კიდევ რამდენიმე. 1884 წ. დავაარსე ხელთუბნის სკოლა წ. კ. საზ. დახმარებით, ავვაშენე საკუთარი სახლი.

1886 წ. დავაარსე მასწავლებელთა დამახმარებელი საზოგადოება. (ეს გამოიწვია ერთი ქართველი მასწავლებელი ქალის თავის მოკვლამ).

ამ ოცი წლის განმავლობაში არ დაბეჭდილა თითქმის არც ერთი ნომერი „ჯეჯილისა“, რომ მე თვითონ არ დავსწრებოდი სტამბაში მის ყოველი ფორმის დაბეჭდვას (1894 წელს სამი მინისტრის ხელ-მოწერით მივიღე ქალაქი „ჯეჯილისა“ დაკეტვისა.—ნომრების მაგიერად, სანამ დავიბრუნებდი გამოცემის ნებას, ვაწოდებდი ჩემ მცირე ხელის მოწერლებს „მერცხალს“ (ორი წიგნი) „მოლაღურს“

(ორი წიგნი) და ამ დროს ყველა დაბრკოლებას თავი დავაღწიე და ისევ ნება გამოვიტანე. აგრეთ წოდებულ რევოლიუციის დროს გადავწყვიტე სრულებით შემეჩერებინა „ჯეჯილის გამოცემა მაგრამ ამ გადაწყვეტილებამ ორი თვე ავად გამხადა, მერე ძველი წლების ნომრების გაყიდვით განვაგრძე გამოცემა.

ამ ორი წლის წინეთ უფულობამ და „ჯეჯილის“ სიყვარულმა მაიძულა მეკისრნა ბილეთების გაყიდვა „უმაღლესი კურსებისა“ და ამ წაირად საქმე განვაგრძე,



ბ-ნ ივ. ჯავახიშვილის ლექსები

ქართულ საისტორიო მწერლობაზე.

მეცამეტე საუკუნიდან დაწყებული მეთხუთმეტემდე მონღოლები სწეწდენ საქართველოს და ამ დროს შესამჩნევი რეგრესი შეეტყო საქართველოს ცხოვრებასა. დაქვეითდა მწერლობაც. დაქვეითდა საისტორიო მწერლობაც. ძნელი შეიქმნა ახალ ცნობათა შეკრება და მონღოლების ბატონობის ისტორიის აღდგენაც მეთხუთმეტე საუკუნეში.

მარიამ დედოფლის „ქართლის ცხოვრებაში“ შეტანილია ამ დროის ერთი ისტორია, რომლის ავტორი საუბედუროდ ცნობილი არ არის. ეს ისტორია იწყება ლაშა გიორგის მეფობითა და მიდის მეთხუთმეტე საუკუნის დასაწყისამდე, გიორგი ბრწყინვალემდე.—საზოგადოდ ძნელია „ქართლის ცხოვრების“ დაყუთვა, მაგრამ განვიმეორებთ, იმ სახით, რა სახითაც ეს ისტორია მარიამ დედოფლის „ქართლის ცხოვრებაშია“ შენახული, იგი ერთი ავტორისაგან უნდა იყოს დაწერილი. ავტორი სარგებლობდა ვიღაც შიო მღვიმელ ბერის, „ქამთა აღმწერლის“ ნაამბობით, როდესაც სწერდა ჯალალ-ედინისაგან თბილისის აღების ამბავს. იგი აგრეთვე თანამედროვეთა ცნობათა გარდა, სარგებლობდა მონღოლურ, სპარსულ და არაბულ წყაროებითაც, სკოდნია კიდევ ეს ენები.—მონღოლების ხანის ისტორია, როგორცა ვსთქვით, იწყება ლაშა გიორგის მეფობით. აღწერილი აქვს ისტორიკოსს კარგად ჯალალ-ედინის შემოსევა, რაშიაც ვრწმუნდებით, ვადარებთ რა უცხო ისტორიკოსთა ცნობებს. ამ თხზულებაში მონღოლებზედაც მოიპოვება ცნობები, ერთი უძველესი მონღოლური ლექსიც კი არის მოყვანილი, აგრეთვე მონღოლთა წელთა-აღრიცხვა, რაიცა ძლიერ საინტერესო უნდა იყოს მონღოლურ ენის სპეციალისტისათვის. როდესაც მის ისტორიას ვადარებთ რეზიდ-ედდანის ისტორიას, მაშინ კიდევ უფრო ვრწმუნდებით ავტორის ცნობათა სისწორეში.—ავტორი მონღოლებს ცუდად არ იხსენიებს,

კიდევ აქებს მათ, აღტაცებულია ჩინგის-ყაენის „უღუღ-იასა“-თი, მისი კანონებითა. არც ჯალალ-ედდინის წინააღმდეგ უთქვამს რამე, მისი სიკვდილის შესახებ კიდევაცა სწუხს ძლიერ. ეს იმიოთი აიხსნება, რომ იმ დროს ჩვენი ისტორიკოსები სასოწარკვეთილნი იყვნენ, მონღოლების ბატონობა საბოლოოდ ბედად მიაჩნდათ და ურიგდებოდნენ ბატონთა და მათ თვისებათა.

ისტორიკოსს კრიტიკული მსჯელობის უნარიც მოეპოვება. ორი დავითის გამეფებისა და ქიშპობის დროს იგი სცდილობს გარდასწყვიტოს სადავო საკითხები ნამდვილ საბუთებით.

მონღოლთა ხანის ისტორია მაინც დიდი რეგრესია ჩვენ საისტორიო მწერლობაში. არც ზნეობრივის მხრით, არც ეროვნული თავმოყვარეობის მხრით, არც აღწერისა, ხელოვნებისა და სიმართლის მხრით, არც ენის სიმშვენიერის მხრით მონღოლთა ხანის ისტორიკოსები აღარ მოგვაგონებენ ძველს ისტორიკოსებს, დიდი დავითისა და თამარის ისტორიკოსებსა, მაგალითად.

გიორგი ლაშიდგან — გიორგი ბრწყინვალემდე — აი ჩვენი ისტორია მონღოლთა ხანისა. ამით თავდება იგი. თუმცა შემოხსენებული ისტორიკოსი მოსწრება მონღოლთაგან საქართველოს განთავისუფლებას, მაგრამ მას იგი არ აუწერია.

როგორც ამას ზოგიერთი საბუთი ამტკიცებს, გიორგი ბრწყინვალის ისტორიაც ყოფილა დაწერილი და „ქართლის ცხოვრებაში“ შეტანილი, მაგრამ დღეს იგი საუბედუროდ დაკარგულია.

ვახტანგისეულ „ქართლის ცხოვრებაში“ შეტანილი ყოფილა ორი თხზულება, — „ცხოვრებანი“ ბაგრატისა და კონსტანტინესი, ვინაობა ავტორისა არ არის გამორკვეული, არც ის, თუ როდის დაუწერია ეს თხზულება.

არავითარი ცოდნა და განათლება არა ჰქონია ავტორს, როგორცა სჩანს თვით ქართლის ცხოვრების იქიდან მოყვანილ ცნობათაგან. იგი აგრეთვე ან რომელიმე ბარათაშვილისაგან უნდა იყოს დაწერილი, ან რომელიმე ბარათაშვილის მომხრესაგან, რადგანაც იქ ბარათაშვილების ქების მეტი არა არის რა.

ფრიად საინტერესოა ეგრედ წოდებული „ძველი ერისთავთა“, თუმცა პირველი ნაწილი მისი შეცდომებით არის სავსე. მეორე ნაწილი-კი, რომელიც ფრანგულად ბროსსემ დაბეჭდა და ქართულად თ. ჟორდანიამ თავის „ქრონიკებში“, ფრიად საინტერესო ცნობებს გვაძლევს იმის შესახებ, თუ როგორ სწარმოებდა ბრძოლა ოსთა და ქართველთა შორის, თუ როგორ დაიძვრნენ ოსები მთიდან ბარად და როგორ იჭერდნენ საქართველოს მიწა-წყალსა. მართლაც ჩვენ ვამჩნევთ, რომ მე-XIV საუკუნის საქართველოსკენ იწევენ ძირს, მაგრამ ქართველდებიან. თხზულება დაწერილია ლარგვისის მონასტერში.

მე-XV და მე-XVI საუკუნეებში ჩვენი საისტორიო მწერლობა სრულიად ჩამოკვეითდა. აღარ იყო აღარც უნარი და შნო წერისა, აღარც თვალთახედვის ასპარეზი. რაც დაუწერიათ, ისიც უმეტეს ნაწილად დაკარგულია. არც კი ვიცით, იყო თუ არა იმ დროს „ისტორიები“. ჩვენ ვიცით მხოლოდ, რომ არსებობდნენ ქრონიკები, მაგალითად „მესხურ დავითნის ქრონიკები“, რომელთაც მათიანის ხასიათი აქვს. ამ თხზულებამ ჩვენამდის მოაღწია, მაგრამ ხუთი წიგნის მაგიერ 16 გვერდმა მოაღწია. და შეიცავს 19 წლის ამბებს. იგი ბ-ნ ექვთიმე თაყაიშვილის მიერ არის გამოცემული „სამ ისტორიულ ქრონიკაში“. ავტორი ათაბაგთა სახლის წევრი ყოფილა. მოიპოვება აუარებელი ქრონოლოგიური ცნობა, თანამედროვესაგან ჩაწერილი. იყო აგრეთვე „გელათური ქრონიკა“, რომლის შესახებაც ცნობები ვახუშტის მოეპოვება. თვით დედნიდან ამოღებული ცნობები შეტანილია „ქართლის ცხოვრების“ მეორე გაგრძელებაში. იქ, როგორცა სჩანს, დასავლეთ საქართველოს 100 წლის ამბავი ყოფილა მოთხრობილი. ეს მათიანები ისტორიანი არ არიან. ხოლო მეთექვსმეტე საუკუნეში არა იყო რა მათ მეტი. ეს ხანა უსაშინელესი დაქვეითების ხანა იყო საისტორიო მწერლობისათვის.

მეჩვიდმეტე საუკუნე უპირველეს ყოვლისა შესანიშნავია უცხო მოგზაურთა ჩვენის ქვეყნის აღწერილობითა. ამ დროს მოდიოდნენ ჩვენში იტალიელები, ფრანგები, გერმანელები და სხვანი, რომელთა თხზულებებში ბევრი ძლიერ საინტერესო ცნობა მოიპოვება. შესანიშნავია არქანჯელო ლამბერტის აღწერილობა სამეგრელოსი და აგრეთვე საქართველოში მოგზაურობა შარდენისა, რომელსაც ბევრ ყალბ ცნობასთან ბევრი საინტერესო და სწორი ცნობაც მოეპოვება.

მაგრამ მეჩვიდმეტე საუკუნეში ჩვენ ორიგინალურ მწერლობასაც ეტყობა გამოცოცხლება. საზოგადოდ ამ ხანაში იწყება ჩვენი გონებრივი ხელახალი აღორძინება ყოველ დარგში და კერძოდ საისტორიო მწერლობაში.

პირველი მომასწავებელი ასეთის გამოღვიძებისა იყო ფარსადან გორგიჯანიძე. იგი პირდაპირ წინამორბედი იყო ვახტანგ მეფის საისტორიო კომისიისა, რომელმაც შეჰკრიბა ყველა საისტორიო თხზულებანი, შეასწორა და განაახლა ჩვენი ისტორიული მეცნიერება.

ფარსადან გორგიჯანიძე დაიბადა გორში 1625 წელს. მან მოინდომა დაწერა საქართველოს ისტორიისა უძველეს დროიდან თავის დრომდე. დაუმთავრებია თვისი თხზულება 1696 წელს.

ფარსადანი როსტომ მეფის კარზედ იყო აღზრდილი, შემდეგ სპარსეთში წავიდა მეფის მოადგილედ და სპარსეთის ხელმწიფეებს ემსახურებოდა ერთგულად. მან მაჰმადიანობაც მიიღო. ფარსადანი სა-

ერთაშორისო ტიპი იყო, — მისთვის სულ ერთი იყო ეროვნება, სჯული, ოღონ-კი თვისი პირადი ინტერესები დაეკმაყოფილებინა. შეილებსაც ასეთსავე დარიგებას აძლევდა. იგი ნამდვილი ტიპია მაშინდელ ზნეობა-დაქვეითებულ ქართველისა. აგრეთვე მისი თხზულების შესავალი გამომხატველია მაშინდელი მწერლობის დაქვეითებისა. ფარსადანს არც „ქართლის ცხოვრება“ წაეკითხა, არც სხვა რომელიმე ქართული საისტორიო თხზულება. იგი აღწერს მხოლოდ ნახულსა და ზეპირ-გადმოცემულსა. მხოლოდ „ერანის ხელმწიფეთა ისტორიაში“ და ლანგ-თემურის შემოსევის ისტორიაში მოეპოვება საუცხოვო ცნობები, რადგანაც იგი სარგებლობდა სპარსულ წყაროებით. საზოგადოდ საქართველოს აღწერაში იგი ორი სპარსული მწერლის თხზულებით სარგებლობს; ისკანდერ მუნშის ისტორიით და შერეფ-ედდინ-ალი-იფზდის. მაგალითად გორგიჯანიძეს ისკანდერ მუნშის შაჰ-აბაზის ცხოვრებიდან აქვს ამოწერილი ვარძიის მონასტრის წარტყვევნა, რომელიც „მედვერია“ აღწერილობისა. ისკანდერ მუნში მდივან-ბეგი და მწიგნობართ-უხუცესი იყო შაჰ-აბაზისა და მას თვალთ უნახავს ყოველივე საქართველოში. მას ისიც აქვს აღწერილი, თუ როგორ პატივსა სცემდა შაჰ-აბაზი ქართველებსა, მათ ზნეჩვეულებათა, თუ როგორ ესწრებოდა და მონაწილეობას იღებდა ქართველთა მეფის კურთხევის ცერემონიის დროსა. ფარსადან გორგიჯანიძემ ძლიერ ისარგებლა მისი წიგნით.

ფარსადან გორგიჯანიძის წიგნს საისტორიო მნიშვნელობა მაინც და მაინც დიდი არა აქვს. უკუთქმითი მნიშვნელობა მისი ის არის, რომ მაშინდელი უვიცობის მომასწავებელია, დადებითი კიდევ ის, რომ შერეფ-ედდინ-ალი-იფზდისა და ისკანდერ-მუნშის რაც მოეპოვებოდათ საქართველოს შესახებ, — საუცხოვო აღწერანი და ცნობანი, — ქართულად მოგვცა.

ფარსადან გორგიჯანიძე საშინელი ორქოფი კაცი იყო პოლიტიკურად. იგი ნამდვილი ტიპი იყო მაშინდელი ქართველისა, რომლის მსგავსიც დღესაც ბევრი მოიპოვება. მსგავსი პოლიტიკური ცხოვრება მსგავსს მწერალთა და მოღვაწეთა ჰბადებს ყოველთვის, — უსიმატიოთა და ორქოფთა.

ამ თხზულების მხოლოდ უკანასკნელი ნაწილია გამოცემული ბროსეს მიერ ჩუბინაშვილის რედაქტორობით. — საკვირველია ავტორის ენა. მან სრულიად აღარ იცის ძველი კელაპტარსავით ჩამოსხმული ქართული ლიტერატურული ენა. იგი სწერს მარტივის, ბაზრულის ენითა. აგრეთვე სპარსეთში ქართული მართლ-წერაც კი დაიწყო: ველარა სწერდა „ყ“ და მსგავსს ასოებსა, რაც სპარსულში არ არის. მაგალითად „საყდრის“ მაგიერ „სალ-დარსა“ სწერდა და სხვ.

ფარსადან გორგიჯანიძე წინამორბედი იყო ვახტანგის კომისიისა, ანუ განახლების ხანისა იმ აზ-

რით, რომ მატანეთა გარდა, რომელიც მხოლოდ იწერებოდა მე-XVI საუკუნეში, მან სინჯა დაიწერა „საქართველოს ისტორია“ უძველეს დროიდან თავის დრომდე. ეს იყო მომასწავებელი გონებრივი მუშაობის სურვილის გაღვიძებისა მაინც, თუმცა თვით ფარსადანმა საშინელი უვიცობა გამოიჩინა ქართულ საისტორიო წყაროთა ცოდნაში.

მაგრამ გიორგი მე-XI და ვახტანგ მე-VI-ის დროს უკვე საქართველოს ნამდვილი განახლების ხანა დადგა. მეთვრამეტე საუკუნე ეს განახლების ხანაა. მაშინ სცდილობდნენ შემემუშავებინათ, შეესწორებინათ და განეწმინდათ შერყვნილი ენა. ამისთვის მუშაობდა საბა-სულხან ორბელიანი. ვახტანგ მეფემ მოინდომა შეკრება, სამართლის სისტემატიურად დაწყოება და იმის ნაყოფი იყო ვახტანგის კანონები და „დასტურლამალი“, სახვეისბერო წიგნები (ეს უკანასკნელნი დაიკარგნენ). საერთო გონებრივი მოძრაობა არ დასტოვებდა არც საისტორიო მწერლობის დარგსა, და სწორედ ამ დროს ეკუთვნის ვახტანგ მეფის სახელოვანი კომისია, რომელმაც შეჰკრიბა და შეასწორა „ქართლის ცხოვრება“.

B.

(შემდეგი იქნება)



სინამდვილე.

მუქინს ტკაბაღად, უღარდელად. სასმრის და ოცნების დიქრთი თავს შეკლებოდა, მახკნებდა მრავალფეროვანს საკვირველს სურათებს და სხეებს. ანგლოზთ გუნდი გარს მესხეოდა და სულს წარმტაც, მომხიბლავ საძღურებს მუეხებოდა. ნიაფი ცეცქი, ნაზი ალერსით ეკვრებოდა ჩემს დაწვებს და საადრულად ხმათ დამხურხურებდა საუცხოვო ზღაპრებს. ცა, მუდამ უღრუბლო, გაბრწყინვებული ლაქვარდოვან სიმაღლიდან იეურებოდა ჩემს თავალებში: იგი ხელავდა აქ თავის სხეს. ბუნება უხვია, გულ-კეთილია, არწევდა ჩემს აკვანს, ავარდს მყრიდა გულსჯდ, ციურის ნანათ მძინებდა, მადიებდა კაცნათ და განუსაზღვრელის, მშობლოურის სიუფარულით მწვდიდა თავის ტკბილს ტუქუს... ჩემი სიშარო ვაწრო იყო, მაგრამ მუდამ სეტკაი და მარტოვი, იგი ჩემთვის იყო შექმნილი და მე იმისათვის. მე გამყოფილი ვიყავ არსებობათ. ზრუნვა და სევდა არ მაშხამებდნენ, არ მაჭკნობდნენ ნორჩს, გაზაფხულის ვარდსავით ნახევრად გადაშლილს გულს. სიბოროტე და ორგულდობა მძამე ტვირთად არ დასწოდათა ზატრანს, მაგრამ სიწმიდით მადლს სულს.

ოჰ, წუთიერა ბეღბეურება!..
 უცხად მომესმა უცნაური ხმა, რომელიც გულის საღრმედას ჩამწვდა:
 — ადექ, გამოფხიზლდი!
 რადც უსიამოვნო, მუსუნავმა სიცივემ გამოიბანა

ძვლარბილში... გაკვირვებულმა ავახილე ძილისაგან დამძიებული თვალები: ბნელდა... ციოდა! ცამ იყრი იცვალა, მოიდრეოდლა. ჩემს გარშემო ქარიშხალი მძვინვარებდა. ბუნება, გულგრილი და სსსტაი შორს იდგა და უცნაურის, უგულო, უგრძობის თვალებით დამსტერებოდა.

მე ისევე დაგზუტე თვალები.

—ადექ, გამოიფხინდი!—გულავ მომესმა წინანდელი ხმა. უნებურად გავახილე თვალები: წამოვიწიე ასნდგომად და... დმერთო მალდო, რა დავინახე!

ჩემს წინ იდგა მხის სხივებით გარშემორტყმული, მადლი, ტანადი, მეტად ნაზი და მშვენიერი ქალი! მხრებსედ ესურა გრძელი, მდიდრულად მორთული მეფური ძაწვეულის მანტია. ჰურთავანი ნარმა დანავ ჰეფარავდა მისს მშვენიერს გულმკერდს. იმის თავსედ ბრტყვინავდა, ათსიფრად ათამაშებდა სხივებს აღმისის გვარტვინი. დიდრთნი, ცისფერი თვალები, უძირა-უსსდგრთნი, აღფრთოვანებით, მწველის ეშხით აღსავსენი, აღერსით მიუერებდნენ და ტბალს ნექტარს მისხვდნენ გულში. ცისა და ქვეყნის დამმონებელი, ზღვის ამდღულებელი, ქვის დამდნობელი ვნებათ-დღეფა ეფვარებდა იმ თვალებში! ისინი, მგრამ, განა ადამიანის უსუსურს, მიწისგან გამტანდაკებულს ენას შეუძლიან მათი დვთაებრევი სიღამხას აღწერა? მე ვიგრძენ იმ თვალების მიმხიდველი, ჰინტორური ძალა და უბრძოლველად დავუმორჩილე მას. სულ-განაბული, გატტერებული შეკვერებდი სკავიერულს თვალის, ენა ჩამოვარდა. ხმა ჩამოწედა, გული ამოტრამის აღმობდა!

—ადექ და წამოშევი!—მითხრა ქალმა ჩემის, ტბილის ხმით.—მოდი, ჩახურტე შენს სავარულს!—რა მუსიკა, რა ჰარმონია შეედარებოდა ამ ხმას?! მოიერ, გამაგებულ ვიფხინავთ წამოვსტი და მივვარდი... მგრამ იგი მარდად გამისწლტა ხელიდგან და დადგა ჩემს წინ ცოტა მოშორებით. მისი ხელები ჩემკენ იფხენ გაძაწვდილნი.

თვალები მანინდნენ, მეტრფოდნენ, მქდხდნენ... ა, მოკვხვი იმას, მოვაიხილე სავარულად, მგრამ იგი კვლავ გამისწლტა ხელიდგან და დამიღით გაცურდა ჩემს წინ. აღტაცებული, თავდავიწებული გამოვუდეე მომხიბლავს არსებას. მინდოდა ჩამეკრა იგი გულში, რამ სავრდამად დამტკბარეფა იმის აღერსით. მგრამ ამოდ! ქალი სულ მისწლტებოდა ხელიდგან და ისევე მიცურავდა წინ. მეც მივსდევდი იმას, მივსდევდი სირბილით. გატაცებული ერთას აზრით, ერთას წადილით, მე ჯერ არ ვგრძნობდი ფეხქვეშ ნადაგს, დონიერის, მძლავრის გულით ვანობდი ჰეერს, ქარიშხალივით მიგჭქროლავდი წინ, მედგრად ვებრძოდი ეფედეგვარ დაბრეფლებას, უგულოდ ვვლტდი, ვთვლავდი ვეფაფერს, რაც კი წინააღმდეგობას მიწვედა, ეურადღებას არ ვაქტევიდი კენისას და თხრას, რამეფად აღმთხდებოდა ხოლმე ჩემ მისვერდელთა გულიდგან, მე არ ვგრძნობდი არც სიბრალეულს და არც სინანულს. მე ვგრძნობდი და ვხედავდი მხალღად იმას, რამ ჩემს წინ მიცურავდა მშვენიერი ქალი, რამეფად

ან ჩემი უნდა ეოფილიყო, ან არავის! ამიტომაც ვადებდი ფეხქვეშ ჩემს მოძიებს, გადავდიოდი მათს გავმებზე და მიგჭქროლავდი წინ!.. თანდათან დადლილობაც შეზარებოდა; მე დავხედე ჩემს გზას და ზირველად დავინახე, რომ იგი ეო მოფენილი კვლებით, მჭრელ ქვეის ნატრეებით. აქა-იქ ქვემძრომნი დასრიალებდნენ და გესლიანის კბილებით ჰტლევდნენ ჩემს სხეულს. სხვისა და ჩემის სისხლით შედებილი მუხლები ადარ შემორჩილებოდნენ, შეგებობდნენ. ბევრჯელ დონე-მისდელი, დამაშვრალი, მშიერ-მწეურავლე დავცემულვარ მე გზაში, ბევრჯელ დამაწეველია სამხიელის სიტყვებით ჩემი თავი და სამუარც, ბევრჯელ სსწარვევითილება მავლავუნსავით დამწოლია გულხედ, მგრამ სკამარისი ეო ერთხელ მანც შემესუნდა იმ სუცხოფო თვალისათვის, რამ ვეფაფერი დამვიწებოდა: ისინი კვლავ მიცინოდნენ, მეაღერსებოდნენ, მქდხდნენ და მეც მივსდევდი მათ, მივსდევდი!

გზა თანდათან ვიწროვებოდა, ოდრო-ხოდროებით, კვლე-დრეები წინ შედობებოდნენ და შეუძლოდ ჰეოფდნენ ფეხის გადადგმას.

ურც რაღაც ზატარა, მოხურესებელი, გრძელ-წვეურა არსება შემასტა ზურგზე, ამართა მძიმე კვერი და დამჭვარა...

მე წავბარბაცდი, მგრამ თავი შევიმავრე და არ დავვეცი, მხლოდ წელში მოვიხარე სიმძიმისგან. შამმა შეიბერო ჩემი გონება. გული მიდონდებოდა, სული მიგუბდებოდა. ვედრებით, გულ-სკვლავ კენისით შეგებდე ქალს, „მიშევექ!“ მინდოდა დამეფვირა, მგრამ ენა გამაქვავდა. კეკლუტმა მომიახლოვა თავისი სხე; რამეფად ეხლა უფრო მშვენიერი ეო, ვიდრე წინა. თვალები ეფვარებდნენ და ისე აღგზნებულად მიუერებდნენ რამ გაციებულს სისწლს და ტვინს მიღულებდნენ. —„ნუ გეშინიან, მოკვეეე ჩვენ, მღე მოკვიბავით სულის მშვიდობას, სიფარულით თავს შემოკვევებით, ნახის აღერსით დაციტბობთ დამაშვრალს გულს!“—მიუერებოდნენ ისინი და მე... მე კვლავ მივრბოდი, მივსდევდი ჩემს გამაგებებულს და მის თვალის.

მოხურმა კვლავ ამართა მადლა კვერი და დამკრა მძიმედ, მგრად, უღმობელად!

ზირქვე გავიშხლართე მიწას. თვალებში დამიბხელდა, ცხვირ-ზირილამ სისწლი წამსკდა.

—ხა, ხა, ხა, მომესმა უცბად სხარელი ხარხარი. შევივრიბე უკანასკნელი დონე და ცოტა წამოვიწიე, რაღაც ბადე ჩამომვარდა თვალებიდან. მივიხედ-მოვიხედე და... ოჰ, სამხილებავ!

ჩემს წინ იდგა რაღაც გატიტვლებული, მახინჯი, მაიფინის მსგავსი არსება!.. შავი, დამტკილი, გამხმარი სხე... ეფითელი, დაქანგებული კბილები... ზატარა, ავი, კველური თვალები... მოკაკული, ბხვკვლიანის ფეხები, გრძელ-ბრტყალებიანი ხელები... დორბლიანი, სსსკული ტრეები... ოჰ, სსწილადრი!

მე ვიციან ეს არსება—ის ქალი ეო, რამეფლსაც ისე გამაგებით მივსდევდი. დიან, ეს ის ქალი ეო, მხლოდ ეხლა თავისი ჩეულებრივი სხე მიიღო, რად-

გან ჩემს თვალებიდამ ჩამოვარდა ვადოსნური ბადე. მე მოტყუებული ვიყავ; უსირცხვილოდ მოტყუებული! სად იყო იმისი მომჭადრებელი სილამაზე, მზის სიხვები, მეფური მანტია და გვირგვინი?

უცხვიარზირო დაცხვიით მიუერებდა მე!.. მის ფეხ ქვეშ ვეარსენ ის ჩემი კამაგიუებული თვალეობი; დამტკნარნი, უფერულნი!.. ჩემს ზურგიდამ ჩამოხტა ზატარა, უსახო, უკბილო და უგულლო მოხუცი... ხელში ეჭირა იმას დიდი კვერი... ოჰ, რა საძკვლად ხითხითებდა!

— ვინა ხართ, ვინა? მითხართ დთვის გულისხაფვის! ხრინწიანის ხმით წამოვიძახე მე.

მე ვარ სიტყვხლე! — სარხართ მიზასუსა მანდილო-სანმა და აღმთაინა შავი დრძილები.

მე ვარ დრო! შემომხითხითა მოხუცმა.

ის თვალეობი?... ის გახლდათ ჩემი იდეალი!..

კ. მაყაშვილი.

ქართულ მწერლობის მოკლე მიმოხილვა

უძველეს დროიდან.

დამოუკიდებელი ან მოკროს ხანა.

XI

უმთა რუსთაველი.

სხვა და სხვა აზრი „ვეფ. ტყაოსნის“ სიუჟეტის შესახებ.

მესამე აზრი „ვეფ. ტყაოსნის“ შესახებ ეკუთვნის პრ. ხახანაშვილს. 1890 წ. „ივერიის“ მე 25 ნომერში მან გამოთქვა ის აზრი, რომ რუსთაველის სელოფურს ქმნილებას სარწმუნოდ უდევს ხალხური ზოგჯის ნაწარმოებები, ე. ი. სიმღერები ტარიელზე ისე, როგორც ფაუსტს და ჰამლეტს სიფუძვლად უდევს საშუალო საუკუნის თქმულებანი. ამ ნაირად ბ. ხახანაშვილი უარს ჰყოფს „ვეფ. ტყაოსნის“ სიუჟეტის ნასესხობას სწარსულ ორიგინალიდან. ის მხოლოდ მზად არის დაეთანხმოს, რომ თქმულება ტარიელზე შეიძლება შემოსული იყოს საქართველოში აღმოსავლეთიდან, მსგავსად სხვა მოსიარულე-მობოგინე სიუჟეტებისა. ამ თვის შეხედულებას ბ. ხახანაშვილი ამყარებს „ვეფ. ტყაოსნის“ და საქართველოს სხვა და სხვა კუთხეში ტარიელზე მოსიარულე სიმღერების შედარებაზე.¹⁾

ამ შედარებამ ავტორი იმ დასკვნამდე მიიყვანია, რომ სეპირად მათხრობილი ტარიელის ამბავი უფროსია ხელოვნურად შექმნილ ზოგჯეზე, ზოგჯის შინაარსი ქართველ ხალხის გულიდან არის ამოღებული.

ბუნება და სხვათა მოქმედ ზიროთა, სჯარო და სხელებიფო ეთა-ცხოვრება, სხე-ჩვეულება, ადაით—სუ-

ვეფელეფერ ამის „ვეფ. ტყაოსნში“ ატევა ქართული ელ-ფერი და ნიშან-წყადა. თუმცა მოქმედებს სწარმოების ინდოეთში, არაბეთში, ჩინეთში, სდვათა და ქაჭათა სამფლობელოში, მაგრამ როდესაც ქართველი ჰქითხულებს „ვეფ. ტყაოსნის“, ის საქართველოში და ნამდვილ ქართულს ატმოსფერაში გრძობს თავს. განათლებულმა და მდალ ნიჭიერმა რუსთაველმა გააკეთებლობილა, აღამდლა აზრ-შინარსი და იდეა ტარიელზე მოსიარულე სიუჟეტისა. უბრალო საამიგო ინტრიგა მან შესცვალა, გარდაქმნა უცვლელ, ბრწინვალე და თავდადებულ მიჯნურობად; გუნაღურად შეჭკრა-შეაერთა ჰქმომის სიუჟეტი ფსიხოლოგიურ დაკვირვებასა და ფილოსოფიურ აზროვნებასთან. სუვევლ-ფერი რუსთაველმა ისე შეასავ-შეასაზა და გახვია მომჯადობელ ლიტერატურულ ფორმაში, რომ „ვეფ. ტყაოსანი“ დღემდის ითვლება სამკალოთო ნაწარმოებად ჩვენს ლიტერატურაში.²⁾

როგორც დაინახეთ, ბევრი სხვა და სხვა აზრი გამოითქვა „ვეფ. ტყაოსნის“ სიუჟეტის შესახებ. „ვეფ. ტყაოსნი“ იყო და ახლაც არის ფრიად საინტერესო საგანი მსჯელობისა, როგორც ჩვენში, ისე სხვაგან.

მაგრამ საკითხი „ვეფ. ტყაოსნის“ და მის ავტორზე ჯერაც საბოლოოდ არ გამოჩვეულა; ის დღესაც ბურესშია განხეული. ამ გზის დახრებაში და სინამდვილის გაუგებლობაში, ავავის აზრით, ცოტა არ იყოს, თითონ რუსთაველსაც აქვს ბრალი, რადგანაც თითონ ამბობს: „ესე ამბავი სწარსულია, ქართულად ნათარგმანები!.. ვაჰაჰ და ლექსად გარდავსთქვიო“.

ამისათვის შემდარი იქნება ის მკვლევარი, ვინც თვის ჰუმბოტეზას „ვეფ. ტყაოსნის“ ჰქმნარიტებად ჩასთვლის.

მართლაც, რადაც საიდუმლოებით მოცულაა ზირფუნება რუსთაველისა და ბედა მისი „ვეფ. ტყაოსნის“. ერთის მხრით—სრული დუმილი ჩვენა ისტორიული წყაროებისა მათ შესახებ, მეორის—საუკუნეებით ქართველ ხალხის გატაცება „ვეფ. ტყაოსნით“! ნუ თუ ჩვენმა შემტრანებმა და მწერლებმა (რომლებიც, როგორც სხვაგან, ბერები და სასულიერო ზირები იყვნენ) შურა იძიეს რესთაველზე და ამისთვის არ გახადეს ის ისტორიულ დოკუმენტში მოხსენების დირსად, რომ მან თავისი ზოგჯე არ მოამწედა ქრისტიანულ ასკეტაზმის ეწრო ფარგალში და შეჭქმნა ისეთი ნაწარმოები, სადაც უმაღლეს წერტილამდე განვითარებული დუთაბირივა ძალა ქალაქის სიყვარულისა, სადაც იდეალად არის დახტული უბარა გმობობა და შეურეველი მეგობრობა!³⁾ მაგრამ ეს მოსაზ-

¹⁾ თითქმის ამავე აზრისაა „ვეფ. ტყ.“ ღრმა მკვლევარი ბ. ალ. სარაჯიშვილი. ის ამბობს: „მე „ვეფ. ტყ.“ სიუჟეტი ირანულ ამბად მიმაჩნია; მაგრამ ეს ამბავი ზეპირად უნდა ყოფილიყოს რუსთაველამდე ხალხში მოართული და არა მწერლობით“ („მველ საქ.“, ტ I, საზოგადო კრებათა ოქმები, განყ. VI, გვ. 18.)

²⁾ მ. ჯანაშვილი სწერს: „ვეფ. ტყაოსნის“ ხდევნილა

¹⁾ „Очерки“, вып. II, стр. 254.

რებს რომ ჰინტოტუნა და არა უტუყარს ფაქტზე დამ-
ურებული ჭეშმარიტება!

ერთი სიტყვით, საკითხი „ვეფ. ტუასნის დამა-
სი ავტორის შესახებ ჯერ-ჯერობით გამოურვეველია და
დარჩება ასეთი მდგომარეობაში მანამდე, სანამ არ აღ-
მოჩნდება ისეთი საბუთი, რომელიც უტუყარ ცნობებს
მოკვლევის რუსთაველზე და მის ნაწარმოებზე.

„ვეფ. ტუასნის“ ბედი და თავ-გადასავალი.

ხშირად მოხდება ხოლმე, რომ ის, რაც მრავალთა-
თვის გამხდარა საყვარელი და სთავყვანებელი, — სწორედ
ეს ზოგიერთებში აწვევს სასტიკ სიძულვილს. ბერს,
მაგალ., რომელიმე ზოეტ-მწერალი და მისი ნაწარმოები
„ხელის-ხელ საგოგმანებლად“ გაუხდა; იმავე დროს
ზოგიერთები ამავე ბერს და მის ნაწარმოებს ზიზღით
იხსენიებენ, ცდილობენ დაუკარგონ ნდობა-პატივი, სდეგ-
ნიან კადრს. რამდენად ინტენსიური და გატაცებულია თა-
ყვანისცემა-პატივი ზირველთა, იმდენად გულწათხრობილი
და უღმობილთა ზიზღი და შური შეიძლება.

პატივისცემა-აღტაცება ზირველთა მომეტებულს შემ-
თხვევაში უხედავ და გულწრფელია და დამურებულია
იმაზე, რომ დაიღმა ნიჭმა და მძლავრმა ხელთამ გაბა
განუწყვეტელი და ტაბაზად მომედრე სიმები შემომქმედ-
შეათხველთა შორის; შეიძლება ზიზღს, შურს და ბარბა-
როსულ დეგნას კი სარჩულად უდევს ხშირად სარწმუ-
ნობრივი, კლასობრივი ან ზოლიტიკური ფანტაზიზმი. ფან-
ტიკისმა კი არ იცის შებრლება; ის სთელავს არა სა-
სამოყვანო ბარს ან იღვას და მზად არაა გააქროს, ადგა-
ვოს ზირისგან ქვეყნის მისთვის არა სასამოყვანო მო-
ვლენა.

სწინს, რომ სწორედ ერთს და იმავე დროს ასეთ
აღტაცებულ სთავარულის და სასტიკ დეგნის საგნად გამ-
ხდარა „ვეფ. ტუასნის“.

წინა საუკუნეებში „ვეფ. ტუასნის“ ქართველები-
საგან სთავყვანა იყო. ის მიანდათ რაღაც დიდებულ და
საყვარულ განძად. უმისოდ დიდებული ოჯახი დიდებუ-
ლად არ იწოდებოდა, რაც უნდა სიმდიდრით სასეუ ყო-
ფილიყო. ის ქორწილი საქმრად არ ჩაითვლებოდა და ის
მზითები მზითვად არ იხსენიებოდა, თუ რომ მზითვის
სიაში ზირველად „ვეფ. ტუასნის“ არ იქნებოდა მოს-
სენებული¹⁾.

„ვეფ. ტუასნის“ თავყვანისცემა საუკუნეთადას.
ისეთი ბედი, როგორც „ვეფ. ტუასნის“ კრთა, არც
ერთ ხელის კლასიკურ თხზულებას არ ჰქონია. შექს-
ზირის და სხვა გენიოსების თხზულებები ან საუკუნო-
ბის განმავლობაში ხელნაწილთა გავრცობა იყო, ან ქება-

დიდება გითავებოდა და დავიწყებაში მიცემულან. „ვეფ.
ტუასნის“ კი. დაწერა თუ არა, მამივე გახდა „ხე-
ლის-ხელ საგოგმანებლად“ თბოლ მარკალიტად. ერთ
ძველ მწერლის მოწმობით, „ვეფ. ტუასნის“ ისე გავრ-
ცელდა ძველად რომ თითქმის ყოველი კაცი სცდილობდა
და მის ზეზირად დასწავლას. არამც თუ მამათა სქე-
სი, დედათა სქესიც დიდის ატაცებით იზეზირებდა
ბერს ტაბებს და ზოგჯერ მიუღ წიგნსაც. ყოველი ქა-
ლი დიდის სიფრთხილით და სიფიქიხით იტავდა ამ
წიგნს, როგორც წმ. ჯვარს და სახარებას.

„ვეფ. ტუასნის“ სიბლავა და ასამოყვანება ქარ-
თველ ხელს შეიდას საუკუნის განმავლობაში. მისა ენა
იყო — ენა სიყვარულის, დამთრობი ქალთა გულის; იმას
იზეზირებდნენ და იმერებდნენ ქალაქებში, დიდებულთა
ციხე-კოშკებში, სოფელთა ქონებში, მეფეთა ზღა-
ტებში და გარშემო შეფეთა ტანტისა. *) ერთის სიტყ-
ვით, „ვეფ. ტუასნის“ გახდა საუწყაო ქართველთა ერისა.

ამავე დროს ერთი ნაწილი ჩვენის ერისა — სამღვ-
დელოება, რომელსაც მართლა დაუიწყარი შრომა და
ღვაწლი მიუძღვდა ქრისტიანულ კულტურის განმტკიცება-
დამკვიდრებაში საქართველოში და დიდს როლსაც თამა-
შობდა საქართველოს ზოლიტიკურს ცხოვრებაში, — სასტიკ-
კად სდეგნიდა „ვეფ. ტუასნის“ და ყოველ დონის ძი-
ებს ხმარობდა დამეტირებინა, დაეგმო მისი ავტორი,
რადგანც მიანდათ ხელის გამრეკელად, სარწმუნობის
დამმეტირებლად, ქვენა გრძობათა, ვნებათა-ღეფათა ამ-
ღვრეველად. ამ გვარი მოწინააღმდეგეთა დასი შობა
რუსთაველის დროიდან იწყებს მეტადინობას, სამტრო
მოქმედებას; ასეთმა შეხედულებამ „ვეფ. ტუასნისზე“
გასტანა მე XIX საუკუნის დასაწყისამდე.

ამავე დროს „ვეფ. ტუასნის“ თვისის იღვათა სი-
დადით, მიუწდომელ ზოეტურ სიმშვენიერით და მწეობ-
რა, მსუბუქი და მდიდარი ენით ან ლექსთა. წეობით,
ქართველ შუათანა ნიჭის და უნიჭო მოელქეთა და მწე-
რალთა შორისაც გამოიწვიო შური, მტრობა.

ასეთია საზოგადოდ ფსიხოლოგია საშუალო ნიჭის
პატრონთა!.. მათი შური მომეტებულ შემთხვევაში არ
არის დაბადის ხარისხისა: ეს არის შური მუშაკისა,
რომლისაც ზოეზია, ხელაყვანა დაუსასვს ცხოვრების მიზ-
ნად, თავდავიწყებით, გამუდმებით ემსახურება მას, მაგ-
რამ თვისის შემოქმედებით ვერ მოუხიბლავს საზოგადო-
ბა, ვერ შეუქმნია უკვდავი რამ.

ამავე დროს მისი ამხანაგი თავისუფლად თავშეუ-
წყებულად, სხვათა შორის, ჰქმნის გენიოსურ ნაწარმოებს
და ხდება ქვეყნაურ დმერთად.

მუშაკი თავის თავს გრძობს უსამართლოდ შეუ-
რაცხოფილად: ის მზად არის აღაგმოს განგება, ცას შეს-
ხიფელთ თვისი უბედობა. ამავე დროს ის მწევე შეურს
გრძობს იმ ზირის მიმართ, რომელიც ბუნებისგან და-

სამღვდელოება (რადგანაც ცალმხრივად ესმოდა მისი შინაარ-
სი). ამისათვის ქართული მიტინენი მე XII საუკუნისა,
რომლებიც შედგენილ იყვნენ ჰეონდიდელი მთავარ-ეპისკო-
პოსის ხელმძღვანელობით, სრულებით არ იხსენიებენ რუს-
თაველს... (И.И.И. Тавар., გვ. 92.)

*) პლ. იახელიანი „Шота Руставели“.

*) ფსიხოლოგია მუშაკისა, მისი მწევე შური და
უპყაფილობა დიდის დაკვირვებით და აღამინის სულის
ღრმა ცოდნით დახატული აქვს ა. პუშკინს „Монарх и
Сальеръ“-ში, სალიერი მსოფლიო ტიპია.

ვიღღაველებსა ციურის ნიჭით, გენადობით.

რასაკვირველია, ჩვენსავე იქნებოდნენ „სლაიერები“ რომლებიც შექედებოდნენ შოთა რუსთაველის და მისი ნაწარმოების დამცირებას. მოვიყვან. ერთს ფაქტს, რომ შედეგ დამახასიათებელ ნაშუადა მიგვაჩნია აჩხაღ შედეგ თვის თხზულებაში მოდექსეობაში აჯობებს ერთმანეთს რუსთაველსა და თეიმურაზ ზინველს და ქლევის აჩხენს თეიმურაზს, თუმატ უკანასკნელი, აკაკის სიტყვით, რუსთაველის აჩრდილადაც არ ჩამოვარდებოდა.

დას, ქართველი სლაიერებიც ასე ამტკიცებენ „ცის. შეიღს“, ქართველ მოტარტსრ — რუსთაველს!

იპ. ვართაგავა.

ქართულ-რუსული პრესა.

თბილისში და საქართველოს ზოგჯერტ ქალოქში ქართულ-რუსული პრესის აჩხებობა მისი საქროგებობა და უქეველი სარგებლობით როდრ განისახზღვრება: მართლაც რომ აუცილებელი საქრო რყოს ეს პრესა ჩვენთვის, — იგი ასეთი საცოდავი და უპრინციპო იქნებოდა? — როცა ნამდვილად არის საქრო რომელიმე გაზეთი, თუნდ რუსულ ან სხვა უცხო ენაზედ, — სრულიადაც რომ არ იყოს არავითარი საღსარი, კანეიკობით შეპკრებენ და როგორმე დაიკმაყოფილებენ ამ საქროგებას თვით საზოგადოების წევრნი. ასეთი მაგალითები იყო ჩვენში. როდესაც აუცილებელი შეიქმნა ჩვენთვის თავისუფალი ქართული პრესა, — უცხოეთში გაღიხვეწა მშეირ-მწყურვალი ხალხი და იქიდან აწვდოდა საქართველოს თავისუფალ ხმასა. გაზეთიც განსაზღვრულის პრინციპებისა და მიმართულების იყო. საქრო შეიქმნა მაშინ აგრეთვე ფრანგულად ლაპარაკი, — და შეკრებილი გრომებით აგრეთვე განსაზღვრული მიმართულების ფრანგული გაზეთი არსებობდა, — ფრანგებთან სალაპარაკოდ, — არა ლაქის კილოითი, არამედ თამამი და ღირსეული მოქალაქის კილოით „საქართველო“ და „La Géorgie“, — აი ორი გაზეთი, მართლაც ნამდვილ საქროგების ნიადაგზედ აღმოცენებული.

დღესაც, რუსული პრესის საქროგება მართლაც რომ ეთანხმებოდეს ქართულ საზოგადოების ნამდვილ მოთხოვნილებას, — განა თბილისში გამოვიდოდა ისეთი გაზეთები, რომელიც ეხლა არსებობს? არა, — ნამდვილი მოთხოვნილება და საქროგება რომ იყოს, — ერთი რუსული გაზეთი პეტერბურგში ან მოსკოვში იქმნებოდა, განსაზღვრული მიმართულებისა, გარკვეული პრინციპებისა, ქართველ-თავან დაარსებული, ისეთ რუს, პოლონელ, ფინლანდიელ და სხვა მეგობართა დახმარებით, რომელნიც ცნობილნი არიან მწერლობაში და საზოგადოებაში, რომელნიც თანაგრძობენ ჩვენს მიმარ-

თულებასა და პრინციპებს, რომელნიც ჩვენთან ერთ-სულ არიან რწმენითა. ასეთი რუსული გაზეთის ხმა, დამერწმუნებო, სულ სხვა ღირსებისა და მნიშვნელობისა იქმნება:

ჩემის ფიქრით ასეთ პრესას უცხო სატანტო ქალაქებში აქვს მნიშვნელობა, ხოლო საკუთარ სახლში — არასოდეს-მიზეზები ამისი მარტივია, — შენ სახლში, შენს ენაზედ უნდა შექმნა საზოგადოებრივი აზრი, — სხვის ქვეყანაში, — სხვისაზედ. ასე იქცევა ყველა, ჩვენს მეტი, ვისი წაბაძეაც ღირს და ვინც იცის პრესის საქროგებაცა და სარგებლობაც.

მაგრამ კარგი, ვსთქვათ სხვაგან არ შეგვიძლია ასეთი გაზეთის დაარსება, უსათუოდ თბილისში უნდა იყოს. თუ ეს აუცილებლობა გარდაუვალია ზოგიერთა აზრით, — აქ მაინც რატომ ვერ ეძლევა გაზეთს განსაზღვრული მიმართულება, განსაზღვრული პრინციპის ხალხი რატომ არ არის ხელმძღვანელი გაზეთისა და რა უნდა ამ გაზეთებში ისეთს ხალხს, რომელიც დღეს „ლისტრუკშია“, ხვალ „ხაკაკაზიეში“, ზევ შეიძლება „გოლოს-კავკასში“ გადვიდეს, — ხალხი, რომლის მოსყიდვაც შეიძლება და თავ-ღაფ-დასხმაც? —

რა სარგებლობა აქვს ისეთ პრესას, სადაც ლევან ყიფიანი, ნაგურსკი და მსგავსი მწერლები მუშაობენ? რა საზოგადოებრივი აზრის შექმნა შეუძლია? ან თუ ჩვენ თავს აცნობენ ისინი უცხო საზოგადოებას, — როგორ „აცნობენ“? — აი, ეხლაც გამოჩნდა, როგორ „გააცნო“ ჩვენი თავი უცხო საზოგადოებას, ჩვენმა რუსულმა პრესამ! — თვით ღირსება ამ პრესისა ისეთია, რომ ყვოლად შეუძლებელია მან რაიმე სარგებლობა მოიტანოს: უპრინციპობა, მიმართულების უქონლობა, თანამშრომლების არჩევაში სრული უფიცობა ან ინდიფერენტუზმი, — აი თვისება ამ პრესისა. ასეთ პრესას თავის დღეში არ მოუტანია არავითარი სარგებლობა არსად, და მეტადრე ჩვენში იგი ვნების მეტს არას მოიტანს.

ბევრსა ჰგონია, რუსული პრესა ჩვენში საზოგადოებრივ აზრსა ჰქმნისო. უკაცრავად, — ეს დიდი შეცდომაა. საზოგადოებრივ აზრს ჰქმნის ამიერკავკასიაში ქართული, სომხური, თათრული პრესა, და თუ რომელიმე რუსული გაზეთი მართლაც არის რაიმე საზოგადოებრივი აზრის გამომხატველი რომელიმე ერისა, — ეს რუსული გაზეთი, დარწმუნდით რომელიმე ეროვნული გაზეთის რუსული განყოფილება. ამიერ-კავკასიის საზოგადოებრივი აზრი არ არსებობს, როგორც არ არსებობს ამიერ-კავკასიის ერი. თუ კი ზოგიერთს რომელიმე დიდი მოხელის ან ორიოდ „გოროდოვოს“ აზრი მიაჩნია საზოგადოებრივ აზრად, — მაშინ სხვაა, მაგრამ, არ ვიცი, ამ მიზნით მთელი პრესის შექმნა სახეიროა თუ არა, — ან ხელ-საყრელი, ან სასარგებლო ჩვენთვის.

მართლაც თვალ-საჩინო არ არის, რომ თბილისში არც ერთი რუსული გაზეთი არ არის გამოცემული საზოგადოებრივი აზრისა? თბილისშიაც მხოლოდ ორი საზოგადოებაა, ქართული და სომხური, რომელსაც თავისი აზრი აქვს, შემუშავებული მთელი ერის ინტერესების ნიადაგზედ, და საზოგადოებრივი აზრი დანარჩენ ელემენტებისა არ ჩითვლება საზოგადოებრივ აზრად, ან და ისეთია, რომლის ყურადღების მიქცევა არც ჩვენ მოგვცემს ხელს, არც სომხებსა.—მათაც აქვთ თავიანთი გაზეთები, „გოლოს კავკაზა“ და სხვა,—ჩვენც მათან საქმე არა გვაქვს და არც უნდა გვექნდეს,—ჩვენი საქმე არ არის მათ „საზოგადოებრივ აზრისათვის“ ყურის თხოვება. დარწმუნება დიდ მოხელეთა, მორჯულება „ქეშმარიტ რუსთა“ ან მათი აზრი ქართველებზედ ჩვენთვის აგრეთვე საინტერესო არ არის.

ჩვენი რუსული პრესა ქართველ ერის ინტერესის ნიადაგზედ არ არის აღმოცენებული. მის არსებობას ორი მიზეზი აქვს. ერთია ის დამღუპველი მოვლენა, რომელსაც ვამჩნევთ ჩვენს ცხოვრებაში ყოველ ფეხის გადადგმავზედ: ქართული ენის გაძევება და სხვა ენისაგან მისი ადგილის დაქერა. ამ მოვლენას ჩვენ თვითონ ვუწყობთ ხელსა. მაგალითად თავად-აზნაურობის კრებაზედ შეუძლებელია ქართულ რომ გაიგონოს დამსწრებ. რაღაც მოთხოვნილებად გადიქა უცხო ენაზედ არა თუ ლაპარაკი, არამედ წერაც საზოგადოების ერთ ნაწილისათვის, და ეს უკანასკნელია რომ უცხო ენაზედ იკლავს საზოგადოებრივ წყურვილს ლაპარაკისას და წერისას. მან შექმნა ის ატმოსფერო რუსული პრესისა, სადაც ყველას აქვს ადგილი, ოღონდ ერთი „მოი-თვოი“ დაჯღაბნოს,—ყველას, პრინციპის ადამიანია იგი თუ ყოველ პრინციპს და მიმართულებას მოკლებული. მას აქვს ის რწმენა, თითქოს ჩვენში საზოგადოებრივი აზრი რუსულად იყოს წარმოთქმული, რადგანაც, თვით რომ რუსულად ლაპარაკობს, ჰგონია, საზოგადოებაც ის თვით არის!—მეორე მიზეზი კიდევ პოლიტიკანობაა. საზოგადოების ამავე ნაწილს ჰგონია, რომ რუსულ პრესაში დიდ პოლიტიკას აწარმოებს. მაგრამ სირაქლემას „პოლიტიკით“ თავის დღეში რომ არც „მოხელეები“ მოტყუებულან და არც სხვა ვინმე,—ამას კი ვეღარა ჰხედავენ. ასეთი პოლიტიკა რომ სიცილის მეტს ვერას გამოიწვევს იმ ადამიანთა შორის; ვისაც ჩვენი პოლიტიკოსები ერთობ გამსჭვირვალე პოლიტიკურის ენით ებასებებიან,—ეს ცხადი და უეჭველია.

დიან, თუ რუსული პრესა საჭიროა,—იგი საჭიროა პეტერბურგში უპირველეს ყოვლისა. თუ პოლიტიკაა საჭირო,—კვიანი და ბრძნული. თუ რუსულად მწერლებია საჭირო,—პატიოსანი ქართველები, საქართველოს მკოდნენი, აგრეთვე მისი

მეგობარნი უცხო მკოდნე მწერალნი, და არა ლევან ყიფიანი და ნაგურსკი. თუ პეტერბურგში არ შეუძლიათ ნამდვილი რუსულ მწერლობა,—აქ იყვნენ, მაგრამ რუსული გაზეთის განსაზღვრული მიმართულება მისცენ, დაუმორჩილონ ქართულ საზოგადოებრივ აზრსა. თუ კი რუსული ქართულის სამაგიეროდა სურთ და თავიანთი თავი მართლაც ქართულ საზოგადოებად წარმოუდგენიათ, თავიანთი პრესა ქართულ საზოგადოებრივ აზრის გამოცხადებად,—ნურას უკაცრავად, თუ ეს პრესა მანებელ ხორც-მეტად ჩასთვალა ქართველმა საზოგადოებამ და თანაგრძნობის მაგიერად მას ბრძოლა გამოუცხადა. აგრეთვე ნურც ის გაუკვირდებათ, თუ შემდეგ ნაგურსკიმ და ლევან ყიფიანმა კი არა, უარესებმაც დაიბუღეს მათ პრესაში და სრულიად გაათახსირეს იგი.

აღაროდელი.

რედაქტორ-გამომცემელი: პეტრე სურგულაძე.

Открыта подписка на 1910 г.

(ТРЕТИЙ ГОДЪ ИЗДАНИЯ)

на двунедѣльный журналъ

„ФИНЛЯНДІЯ“

Выходитъ 10 и 25 числа каждаго мѣсяца.

24 номера въ годъ.

Редакторъ: А. В. Игельстромъ.

Издатель: Д. Д. Протопоповъ

Задачей журнала „Финляндія“ является освѣщеніе такъ называемаго „финляндскаго вопроса“ и страженіе неправедливыхъ шовинистическихъ нападокъ извѣстной части русской періодической печати на Великое Княжество и его внутреннюю самостоятельность, многократно подтвержденную російскими Монархами.

ФИНЛЯНДІЯ кромѣ того даетъ обширный фактический матеріалъ по всему, что касается жизни этой страны и что содѣйствуетъ культурному сближенію русскаго и финляндскаго общества.

Подписка на я цѣна съ доставкой и пересылкою: въ Россіи и Финляндіи на цѣлый годъ 6 руб., полгода 3 руб., три мѣсяца 1 руб. 50 коп.

Отдѣльные номера 25 копѣекъ. (Наложенымъ платежомъ 35 копѣекъ).

Подписка принимается въ конторѣ редакціи: С.-Петербургъ, Мойка, 24 (у Пѣвческаго моста), въ книжномъ магазинѣ Р. Эдгрена (В. Коношенная, 8), „Наша Жизнь“, М. О. Вольфа, а также во всѣхъ книжныхъ магазинахъ столицъ, Финляндіи и провинціи.